ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 19 სექტემბერი, 2019 №222 (8176) ფასი: 60 თეთრი

„ლაშა ნაცვლიშვილი ნაციონალების გაწევაში აქტიურად მონაწილეობდა“

გვ.4

ლევან ჩაჩუა: „თუ „ოცნებამ“ ასე გააგრძელა, ხალხი კაბინეტებიდან გამოყრის“

ირაკლი ოქრუაშვილის პარტია დღეს ხელისუფლებას 500.000 ლარიან გირაოს შესთავაზებს მის გამოსაშვებად

გურამ ჩალაგაშვილი: „ამით ჩვენ ივანიშვილს მხოლოდ ერთ არჩევანს ვუტოვებთ“

გვ.3

მალხაზ მაჩალიკაშვილი: „გახარია ჩემთან დიდ ვალშია“

გვ.2

„მორის მაჩალიკაშვილი აქციაზე არ ყოფილა და იმედია, გამოუშვებენ“

„ამ ქვეყანაში არც ოპოზიცია ვარგა. ოპოზიციას რომ თავის ადგილი ჰქონდეს, ესენი ასე ვერ „იბლატავებდნენ“. დღეს ამ ქვეყანაში არ არის სამართალი, დღეს არ არის სასამართლო. იმდენი ჩადენილი დანაშაული და პასუხგაუცემელი კითხვა დაუგროვდა ამ ხელისუფლებას, რომ არ ვიცი“

გვ.4

„სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილისთვის მძიმე ტვირთად იქცა“

რომან გოცირიძე: „მორატორიუმის გამოცხადება უაზრობაა“

გიორგი მშვენიერაძე: „პრეზიდენტმა გვითხრა, რომ ან მკვლელები უნდა შევიწყალო, ან არავინო“

გვ.3

„ეს არის პრეზიდენტის ბრალი, მაგრამ შეწყალება იმპიჩმენტის საფუძველი ვერ გახდება“

სამართალი გვ.5

„ნოვოკაინის შეყვანის შემდეგ შოკი დაეწყო“



19 წლის გოგონა რუსთავში ცხვირის ოპერაციის გაკეთებისას გარდაიცვალა

კოკა კოლას ოფისიდან 133.000 ლარი მოიპარეს



დაკავებულია კომპანიის თანამშრომელი მ.ტ.

„დავით სარალიძეს საპირფარეშოს ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღია

რას ყვება ადვოკატი თოდუა

მორაგბე ბართლომე კალაძე ავარიაში დაიღუპა

ISSN 1987-9385

2 ირმა ნადირაშვილი: „ამბობენ, რომ დიმიტრი გაბუნია შეწყალების ფინანსურ საკითხებს აგვარებდა“

5 ადვოკატი: „სიცრუეა, რომ ასლან ბეჟანიძე 12 წლის განმავლობაში ძებნილი იყო“

2 ვანო ზარდიაშვილი: „მინდა მჯეროდეს, რომ პრეზიდენტს გაუჩალიჩეს“

6 ნეთანიაჰუ ისრაელის არჩევნებს აგებს

მალხაზ მაჩალიკაშვილი: „გახარია ჩემთან დიდ ვალშია“

ნონა ცაბაძე

ახალი თაობის“ კითხვებს მალხაზ მაჩალიკაშვილი პასუხობს.



– ბატონო მალხაზ, თქვენ გქონდათ მოლოდინი, რომ სასამართლო თქვენს ძმისშვილს არ დატოვებდა პატიმრობაში და გირაოს შეუფარდებდა, თუმცა ის პატიმრობაში დარჩა. რატომ მიიღო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება?

– ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ მორის მაჩალიკაშვილი არ არის დამნაშავე.

– მაშინ რა მოხდა?

– ეს არის პოლიტიკური თავდასხმა, პოლიტიკური ანგარიშსწორება.

– რატომ, რისთვის?

– იმიტომ, რომ ის ჩემ გვერდით იდგა და ჩემთან ერთად იბრძოდა სამართლიანობის აღსადგენად. იმ დღეს, როცა მე დავაპირე კარვის გაშლა, გამიწიეს წინააღმდეგობა, რომ არ გამეშალა მე ეს კარავი. მე კანონის საწინააღმდეგოს არაფერს ვაკეთებდი. მე მქონდა ამის უფლება. დილით არ გამაშლევინეს კარავი, მაგრამ საღამოს დავდგი. სწორედ იმ დღეს დაურეკეს ჩემს ძმისშვილს, თუ ბიძაშენი გაშლის კარავს, ხვალე ციხეში გამოგამწყვდევთო.

– ანუ წინასწარ იყო ეს მუქარა?

– დიახ. ეს ანგარიშსწორებაა, აბა რა არის?!

– ვინ დაურეკა?

– ვინ დაურეკავდა, ხელისუფლების წარმომადგენელი, ძალოვანი სტრუქტურებიდან. მე არ დამიწყია იმის გარკვევა, თუ ვინ იყო. ასევე, მეორე საკითხი – მორის მაჩალიკაშვილი იმ აქციაზე სულაც არ ყოფილა მისული. მორის მაჩალიკაშვილმა არც იცის, ვინ არის გავრილოვი და ეს არც აინტერესებს. მორის მაჩალიკაშვილი იდგა ჩემთან ერთად ერთი წლის განმავლობაში, დღე და ღამე და ითხოვდა იმას, რომ ამ ნაძირალებს გაეცათ ჩვენთვის პასუხი – რატომ მოკალით თემირლანი?!

– რას აპირებთ, ბატონო მალხაზ? გაზაფხულზე, როდესაც პანკისში სერიოზული არეულობა იყო, სპეცრაზმი შეიყვანეს, თქვენ აქტიურად დაუდექით ხელისუფლებას გვერდით და მუხტი ჩააცხრეთ. მაშინ თქვით კიდეც, ეს არ ეკადრება ჩვენს ხეობასო. ახლა რა იქნება, ხეობა დადგება თქვენ გვერდით? აქციებს ხომ არ გეგმავთ?

– ზუსტად მაგაზე ვარ მე გამწარებული. რომ გავიგე, რაც ხდებოდა ხეობაში, დავტოვე რუსთაველი და მაშინვე წავედი პანკისში. მანამდე ფეისბუქზე განცხადება დავწერე, მივმართე ხეობას, რომ არანაირი შეტაკება, არანაირი წინააღმდეგობა არ იყოს პოლიციის წინააღმდეგ. მივმართე, რომ ეს იქნება დიდი პროვოკაცია, დიდი ალიაქოთი და დიდი ქაოსი. თხოვნით მივმართე ჩვენებს.

აქედან რომ წავედი, გზაში დამიჭირეს და სამი საათი მამყოფეს მანქანაში. მიუხედავად ამისა, მე მაინც ავედი ხეობაში, ყველა იქ მყოფი ადამიანი შევკრიბე და ვთხოვე, რაც მოხდა, მსგავსი აღარაფერი განმეორებულიყო. მე რომ ამათ გზაში არ დავეკავებინე, ისიც არ მოხდებოდა, რაც მოხდა. მე პირდაპირ ვეტყვი მაშინდელ შს მინისტრს და ახლანდელ პრემიერ-მინისტრს, რომ ის და მისი უწყება ჩემთან ვალშია, დიდ ვალში! თუმცა ვნახეთ, რაც მოხდა. მორის მაჩალიკაშ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„მორის მაჩალიკაშვილი აქციაზე არ ყოფილა და იმედია, გამოუშვებენ“

სალომე ზურაბიშვილი აღარავის შეიწყალებს

„ვაცხადებ მორატორიუმს“

გუშინ, 18 სექტემბერს, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა შეწყალებაზე მორატორიუმი გამოაცხადა.

შესაბამისი განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა ბრიფინგზე გააკეთა.

ზურაბიშვილი ამ გადაწყვეტილებას მის მიერ რამდენიმე პირის შეწყალების საკითხზე საზოგადოების შეშფოთებით ხსნის.

– ამ ვითარებიდან გამომდინარე, ვაცხადებ მორატორიუმს შეწყალებაზე.

მე ადრეც გამოვდიოდი წინადადებით, რომ შეწყალების წესები იყოს გადახედილი და იყოს ეს შემუშავებული პარლამენტში სამუშაო ჯგუფის მიერ. ამაზე კონსულტაციები უკვე შედგა პარლამენტის თავმჯდომარესთან.

ჩვენ იანვრიდან ვამზადებდით ახალ წესებს და ჩემი ვერსია გადაეცემა პარლამენტის თავმჯდომარეს. მომავალი კვირიდან შედგება ამ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც ყველა პარტია შევა და ისინი ჩამოაყალიბებენ, როგორი უნდა იყოს ის იდეალური წესები, რომ აღარ მოხდეს შეშფოთება საზოგადოების, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ირმა ნადირაშვილი: „ამბობენ, რომ დიმიტრი გაბუნია შეწყალების ფინანსურ საკითხებს აგვარებდა“

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის დიმიტრი გაბუნიას შესაძლო კავშირების შესასწავლად შეწყალებული მსჯავრდებულების ოჯახებთან „ევროპული საქართველო“ გენერალურ პროკურატურას ერთთვიან ვადას აძლევს.

„ევროპული საქართველოს“ წევრების განცხადებით, მათ წყაროსგან, რომელიც დაკავშირებულია საადვოკატო წრეებთან, მიიღეს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეწყალებასთან დაკავშირებული საკითხები გვარდება უშუალოდ დიმიტრი გაბუნიას მეშვეობით.

ირმა ნადირაშვილი ამბობს, რომ „ამავე წყაროს ინფორმაციით, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ამა თუ იმ პირის შეწყალებას, დაინტერესებული ადამიანები უკავშირდებიან დიმიტრი გაბუნიას და მასთან გადიან უშუალოდ ფინანსურ საკითხებს. ანუ საკითხებს, თუ რა ფასად შეიძლება ესა თუ ის პირი იყოს შეწყალებული“.

გუშინ, 18 სექტემბერს, დეპუტატმა ბრიფინგზე თქვა, რომ წყაროს არ აქვს ინფორმაცია, კონკრეტულად კორუფციულ საკითხებს გადის თუ არა დიმიტრი გაბუნია პრეზიდენტთან ერთად, მაგრამ აქვს ვარაუდი, რომ პრეზიდენტის გვერდის ავლით ასეთი საკითხების მოგვარება არის შეუძლებელი.

ოთარ კახიძემ კი გამოძიების დაწყების აუცილებლობაზე ისაუბრა.

– საქართველოს გენერალური პროკურატურის პირდაპირი ვალდებულებაა, რომ ოფიციალურად დაიწყოს აღნიშნულ საქმეზე გამოძიება. პროკურატურამ უნდა გადაამოწმოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის შესაძლო კავშირები შეწყალებული მსჯავრდებულების ოჯახებთან, მათ ადვოკატებთან და ჩაატაროს ყველა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ამ გარემოებებს ნათელს მოჰფენს.

თუ გენერალურ პროკურატურას პოლიტიკური ნება არ ეყოფა, რომ რეალური ნაბიჯები გადადგას და გამოიძიოს აღნიშნული ინფორმაციის ნამდვილობა, მაშინ „ევროპული საქართველო“ გამოვა ინიციატივით, რომ შეიქმნას საპარლამენტო საგამოძიებო კომისია და ჩვენ, დეპუტატებმა, გამოვიძიოთ აღნიშნული გარემოებები, თუმცა არც იმის ილუზია მაქვს, რომ „ქართულ ოცნებას“ ამის პოლიტიკური ნებაც ეყოფა.

პრეზიდენტი ზურაბიშვილი არის ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ ლიდერების მოყვანილი, ამიტომ პრეზიდენტის ყველა მავნებლობაზე პასუხისმგებლობა სწორედ მათ ეკისრებათ. თუ სურთ, რომ ამ ტიპის პასუხისმგებლობას დაურთონ უკვე შემდგომი შესაძლო დანაშაულში მისი შემხებლობის საკითხიც, მაშინ ნუ გამოიძიებენ. თუმცა არაფერი არ დარჩება დაფარული, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

ვანო ზარდიაშვილი: „მინდა მჯეროდეს, რომ პრეზიდენტს გაუჩალიჩეს“

„ამ საქმეს ერთადერთი პოზიტივი აქვს“

– თუ სალომე ზურაბიშვილს ვიღაცამ გაუჩალიჩა ეს შეწყალებები, მაშინ მან უნდა გააკეთოს განმარტება, ვინ იყო ეს პირი. მინდა მჯეროდეს, რომ მას გაუჩალიჩეს, – უთხრა ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ვანო ზარდიაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოში პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულების შეწყალებამ ძალიან მახინჯი ფორმა მიიღო.

– ჩემთვის ეს შეწყალებების თემა არის ძალიან მძიმე და საქართველოში შეწყალებებმა ყველა პრეზიდენტის პირობებში ძალიან მახინჯი პრაქტიკა მიიღო. წინა პრეზიდენტების პირობებში გავიხსენებ მარგველაშვილის მიერ ქორიძის შეწყალებას, რომელიც ნარკოდანაშაულში იყო მსჯავრდებული. ასევე, გავიხსენებ სააკაშვილის მიერ ეკა ბესელიას ძებნილი შვილის შეწყალებას, ესეც უპრეცედენტო შეწყალება იყო და ასევე, ახლა ქალბატონი სალომეს შეწყალებებიც.

ამიტომ ამან ძალიან მახინჯი ფორმა მიიღო ყველა პრეზიდენტის პირობებში, რაც საზოგადოების ინტერესებს ნამდვილად არ აკმაყოფილებს, – განაცხადა უმრავლესობის დეპუტატმა.

ზარდიაშვილის თქმით, მისთვის მიუღებელია პოლიციელის მკვლელობაში მსჯავრდებული ადამიანის შეწყალება.

– კითხვები არსებობს და თუ ქალბატონ სალომეს ეს ვიღაცამ მოუწყო, გაუჩალიჩა, მაშინ მან უნდა გააკეთოს განმარტება, ვინ იყო ეს პირი. თუ არა და, უნდა გაკეთდეს განმარტება, რას ეფუძნებოდა ეს შეწყალებები.

ჩემი აზრით, ასე ხელაღებით არ შეიძლება მსჯავრდებულების შეწყალება. მე მინდა მჯეროდეს, რომ პრეზიდენტს გაუჩალიჩეს.

ეს საკითხი მთლიანად ნეგატიურია, თუმცა ერთადერთი პოზიტივი ის აქვს, რომ ყველა ერთად, პოზიციაც, ოპოზიციაც მზადყოფნას გამოხატავს, რომ დავიწყოთ საკანონმდებლო რეგულაციებზე მუშაობა, რომ ერთხელ და სამუდამოდ, პრეზიდენტების ხასიათზე არ ვიყოთ დამოკიდებული, – დასძინა ვანო ზარდიაშვილმა.

ლანა გალდავა, კახა კოჟორიძე, ლევან ბოძაშვილი

მამუკა ხაზარაძემ ლელოს 12 წევრი წარადგინა

მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ საზოგადოებას ორგანიზაციის პირველი 12 წევრი წარუდგინა.

როგორც ხაზარაძემ განაცხადა, „მოძრაობაში საკმაოდ სერიოზული ადამიანები არიან წარმოდგენილი“.

„ლელოს“ წევრები არიან:

1. ლანა გალდავა – საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ლელოს“ იურისტი;
2. ლევან ბოძაშვილი – უსაფრთხოების ექსპერტი, კონსტიტუციონალისტი;
3. თეონა დოლენჯაშვილი – მწერალი;
4. კახა კოჟორიძე – იურისტი;
5. მედეა მეტრეველი – ფილოლოგი;
5. გია გუგუშვილი – მხატვარი, პროფესორი;
6. საბა ბუაძე – სამოქალაქო მოძრაობის წევრი;
7. გიგლა მიქაუტაძე – ეკონომისტი;
8. ქეთი ენუქიძე – ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი;
9. ელენე მელიქიშვილი – საგარეო პოლიტიკის მკვლევარი;
10. გია მორდეხაშვილი – ბიზნესმენი;
11. დავით გელაშვილი – ეკონომისტი;
12. ბადრი ჯაფარიძე – თიბისი ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

– საზოგადოებრივი მოძრაობა პარტიასთან არაფერ კავშირშია. პოლიტიკური პარტიის ლიდერები პრაიმერის პრინციპით იქნებიან არჩეული, – განაცხადა ხაზარაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ირაკლი ოქრუაშვილის პარტია დღეს ხელისუფლებას 500.000 ლარიან გირაოს შესთავაზებს მის გამოსაშვებად

გურამ ჩალაგაშვილი: „ამით ჩვენ ივანიშვილს მხოლოდ ერთ არჩევანს ვუტოვებთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს
გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, 19 სექტემბერს ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს. თქვენ 500 ათას ლარიან გირაოს სთავაზობთ, წამოვლენ ამაზე?

– ამ ქვეყანაში რომ სამართლიანი სასამართლო არ არსებობს და პოლიტიკური გადაწყვეტილებები გამოდის, ამაზე მოსახლეობის უმრავლესობა ვთანხმდებით. რაც შეეხება პროცესს, ჩვენ, ივანიშვილი და მისი რეჟიმი დავტოვეთ ერთი არჩევანის წინაშე.

– რა არჩევანის?

– მოგეხსენებათ, რომ ბატონ ხაზარაძესთან მიმართებაში, ბატონ წერეთელთან მიმართებაში, მათ გამოიყენეს ძალიან მაღალი გირაო, 500 ათასი ლარი და უფრო ზემოთ და, შესაბამისად, ეს ადამიანები არიან გირაოთი თავისუფლები. ჩვენ ბიძინა ივანიშვილს ვუთხარით, რომ ჩვენც გთავაზობთ 500 ათას ლარიან გირაოს.

ყველა ეს სისხლის სამართლის საქმე, ხაზარაძესთან მიმართებაში იქნება ეს, წერეთელთან მიმართებაში თუ გავრილოვის ღამეს დაკავებული ბიჭების საქმეებთან მიმართებაში, ყველა არის აბსურდული, მაგრამ ის ბრალი, რაც წაუყენეს ხაზარაძეს, ჯაფარიძეს და ასე შემდეგ, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე 20 ივნისის ღამის პოლიტპატიმრების საქმეები. მათ შემთხვევაში ხომ იქნა გირაო გამოყენებული? ჩვენ ვეუბნებით ივანიშვილს, რომ მზად ვართ, 500 ათასიანი გირაო გადავიხადოთ.

ივანიშვილს ამ გირაოს შეთავაზებით სხვა არჩევანი არ დავუტოვეთ, ან დაგვთანხმდება, ან აღიარებს, რომ ოქრუაშვილი მისი პირადი პოლიტპატიმარია! ჩვენ არ ველოდებით, რომ ჩვენს წინადადებას გაიზიარებენ. სასამართლოს რასაც დაავალებენ, იმ გადაწყვეტილებას გამოიტანს. ჩვენ ველოდებით ერთადერთს, რომ ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესზე აღიარებს მოსამართლის პირით, რომ ირაკლი ოქრუაშვილი არის მისი პირადი მძევალი, მისი პირადი პოლიტპატიმარი!

– როდესაც პრეზიდენტი მკვლელებს იწყალებს, ცოტა უხერხული ხომ არ არის 20 ივნისის ღამეს დაკავებულების ციხეში გამოკეტვა?

– ზოგადად ყველაფერი აბსურდულია ამ ქვეყანაში. ბოლო 7 წელია, ამ ქვეყანაში კარგი არაფერი ხდება, ხოლო ის, რაც ბოლო 5 თვეა ხდება, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

ამ ადამიანებმა შემოგვთავაზეს პრეზიდენტი და ძალით აარჩევინეს მოსახლეობის ერთ ნაწილს, პრეზიდენტი, რომლის ქმედება არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება. სისხლიანი პრემიერიც კი იძულებული გახდა, გაეკრიტიკებინა საქართველოს პრეზიდენტი და მან თქვა, რომ ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ასევე გააკრიტიკა უმრავლესობამ და ერთ-ერთმა დეპუტატმა ისიც კი თქვა, გაუჩალიჩესო. პარლამენტის წევრი, რომელიც პრეზიდენტზე ამბობს, რომ მას რაღაცა გაუჩალიჩეს, ასეთი ჟარგონებით რომ გვესაუბრება, აქ უკვე დამთავრებულია ყველაფერი. ივანიშვილმა ეს დეპუტატები მის მონებად, მის ცხვრებად აქცია და რა გადაწყვეტილებაც უნდა, იმას მიაღებინებს.

– ანუ არ გაქვთ მოლოდინი, რომ სასამართლო ოქრუაშვილს გირაოს სანაცვლოდ გამოუშვებს?

– ნამდვილად ამის მოლოდინი არ გვაქვს. ჩვენ ივანიშვილის გარემოცვიდან გვაქვს ინფორმაცია, რომ ის ძალიან გაბრაზებულია ოქრუაშვილზე, ძალიან შეშინებულია მისი რეიტინგით, მისი პოლიტიკური მომავლით. შიდა გარემოცვა ამბობს, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ივანიშვილი აღიქვამს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ოპონენტს და თვლის, რომ იგი უნდა იყოს ციხეში, ვინაიდან გარეთ მყოფი ოქრუაშვილი იქნება ის ადამიანი, რომელიც შეძლებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი გააერთიანოს და ივანიშვილის ხელისუფლება გაუშვას პოლიტიკურ სანაგვეზე.

აი, ამის შიში აქვს მას, რომელსაც იგი ვერ გადალახავს ვერასოდეს.

– თუ გირაოზე არ წამოვა სასამართლო, რა იქნება თქვენი საპასუხო რეაქცია?

– ჩვენი საპასუხო რეაქცია რა უნდა იყოს, ციხეს შტურმით ხომ ვერ ავიღებთ?! ჩვენი მომავალი ნაბიჯები იქნება აქციები, პერმანენტული და ყოველდღიური აქციები. ყველა უნდა გამოვიდეს უკვე გარეთ და თავის სათქმელი უთხრას ამ ხელისუფლებას.

– ნიკა მელია მართალია დეპუტატი იყო, მაგრამ ის ხომ გამოუშვეს სამაჯურით? ირაკლი ოქრუაშვილი ასეთი „საშიში დამნაშავეა“?

– ამით ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი გვეუბნება, ამას თავად აღიარებენ, რომ მათ ყველაზე მეტად, ისტერიულად ეშინიათ ირაკლი ოქრუაშვილის და მისი გარეთ ყოფნის.

რაც შეეხება ნიკა მელიას, ის არის ამ ხელისუფლების პოლიტპატიმარი.

– ანუ „ქართულ ოცნებას“ ჰყავს პოლიტპატიმრები?

– ნამდვილად ასეა, ამ ხელისუფლებას ჰყავს პოლიტპატიმრები! საერთაშორისო ორგანიზაციებმაც მიახვედრეს და უთხრეს, არ შეიძლება საქართველოში რომ იყვნენ პოლიტპატიმრები, არ შეიძლება დაჭერილი ჰყავდეთ პოლიტიკური ლიდერები, მაგრამ მათ ეს არ ესმით.

– გამოვიდა ინფორმაცია, რომ ამერიკელებმა პირდაპირ მოსთხოვეს ბიძინა ივანიშვილს, არ შეიძლება დემოკრატიულ ქვეყანას ჰყავდეს პოლიტპატიმრები. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– კი ბატონო, გიდასტურებთ, ჩვენც გვაქვს ეს ინფორმაცია, რომ ივანიშვილს მოსთხოვეს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ყველა პოლიტპატიმარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ელოდება სანქციები, მაგრამ ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი და ვერც ვერასოდეს იქნება, ის არის ჩვეულებრივი სისხლისმსმელი, რომლისთვისაც ყველაფერს წყვეტს ფული. ივანიშვილი მაქსიმალურად შეეცდება, რომ გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა და არაფორმალური მმართველობა.

– ბატონო გურამ, როდესაც ირაკლი ოქრუაშვილი დააკავეს, იყო მოლოდინი, რომ როგორც წინა ხელისუფლებასთან ითანამშრომლა, აღიარა დანაშაული, ახლაც ასე მოხდებოდა და ამის სანაცვლოდ მას გამოუშვებდნენ. ხომ არ იყო ხელისუფლების მხრიდან მსგავსი ტიპის შეთავაზება ოქრუაშვილთან?

– რაც შეეხება თანამშრომლობას, მე მგონი, ყველას კარგად გვახსოვს, პირველად რომ დააკავეს ირაკლი, რაც მოხდა მაშინ. მაშინ მასთან ერთად დაკავებულები იყვნენ მისი ოჯახის წევრები: ბიძაშვილი, ბიძა და უახლოესი ადამიანები. მაშინ მოხდა ის, რაც მოხდა, რომ ისინი ციხეში არ უნდა ყოფილიყვნენ, ირაკლის გამო პატიმრები არ უნდა ყოფილიყვნენ.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, არანაირი მსგავსი რამ არ გამიგია. პირადად ირაკლისგან ვიცი, რომ იგი არ აპირებს არავისთან თანამშრომლობას, არანაირ გარიგებაზე წასვლას. იგი იბრძოლებს იქიდან.

ნებისმიერ შემთხვევაში ივანიშვილს მოუწევს მისი გარეთ გამოშვება, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს. მას სხვა გზა არ ექნება. ეს ხვალ იქნება თუ ზეგ, მას მოუწევს ყველა პოლიტპატიმრის გარეთ გამოშვება.

მე არ მგონია, რომ დასავლეთმა ეს აპატიოს. საქართველო რუსეთის გუბერნია ვერ გახდება და არ გახდება! ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს.

გიორგი მშვენიერაძე: „პრეზიდენტმა გვითხრა, რომ ან მკვლელები უნდა შევიწყალო, ან არავინო“

„ეს არის პრეზიდენტის ბრალი, მაგრამ შეწყალება იმპიჩმენტის საფუძველი ვერ გახდება“

იაგო ნაცვლიშვილი

მარიამობის შეწყალების დროს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მკვლელობისთვის გასამართლებული სამი პირი შეიწყალა. საზოგადოებაში არსებული კითხვები პრეზიდენტმა უპასუხოდ დატოვა, სამაგიეროდ კრიტიკას იმით უპასუხა, რომ თქვა შეწყალებაზე მორატორიუმს აცხადებს.

შეწყალების დღესვე გახდა ცნობილი, რომ პრეზიდენტმა 22 წლის პოლიციელის მკვლელობისთვის მსჯავრდებული რამაზ დევაძე შეიწყალა. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტმა ასევე შეიწყალა მარიკა ლორთქიფანიძისა და გიორგი ოთხმეზურის შვილიშვილის მკვლელობისთვის მსჯავრდებული ასლან ბეჟანიძეც. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა კი თქვა, რომ პრეზიდენტმა კიდევ ერთი – მკვლელობისთვის ძებნილი პირიც შეიწყალა. პრეზიდენტი არსებულ კითხვებს შეწყალებაზე მორატორიუმით პასუხობს, რასაც იმით ხსნის, რომ საზოგადოებაში მის გადაწყვეტილებას მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირების შეწყალებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

რამდენად გამართლებულია პრეზიდენტის პოზიცია, შეესაბამება თუ არა პრეზიდენტის ქცევას და რამდენად ლოგიკურია მისთვის იმპიჩმენტის გამოცხადება ამ საკითხის გამო? – ამ საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ (GDI) ხელმძღვანელი **გიორგი მშვენიერაძე** პასუხობს:

– პრეზიდენტმა გვითხრა, რომ აჩერებს პატიმრების შეწყალებას და მორატორიუმს აცხადებს შეწყალებაზე. ეს ის პასუხია, რასაც საზოგადოება მისგან ითხოვდა?

– რა თქმა უნდა, პრეზიდენტს შეუძლია ვინმე შეიწყალოს, ან არ შეიწყალოს. მას ვერავინ დაავალდებულებს ვინმეს შეწყალებას, მაგრამ საკითხის ასე დაყენება, რომ ან მკვლელობაში მსჯავრდებული პირები უნდა შევიწყალო, ან არავის არ შევიწყალებ, ეს არის ორი უკიდურესი რაღაცის შემოთავაზება საზოგადოებისათვის. ეს, ჩემი აზრით, არასწორია.

ასევე არასწორია ისიც, რომ საუბარი დაიწყეს დღეს შეწყალების საკანონმდებლო აუცილებლობაზე. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის კონსტიტუციური უფლებამოსილება პრეზიდენტის. კონსტიტუციური უფლებამოსილების კანონით დარეგულირება არასწორი იქნება თვისობრივად და კონსტიტუციური სამართლის თვალსაზრისით.

ეს უფლებამოსილება პრეზიდენტისთვის კონსტიტუციით არის მინიჭებული და თუ მას უნდა რაიმე რეგულირების დაწესება, ეს იქნება დამატებითი ბარიერების შექმნა. საუბარია კომისიის შექმნაზე, ან რაიმე სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, რომელიც იმუშავებს ამ საკითხზე. ამაში პრეზიდენტი შეზღუდული არ არის, მაგრამ საუბარი იმაზე, რომ კანონი უნდა მივიღოთ, რომელიც ამ საკითხებს დაარეგულირებს, ეს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობრივი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, კონსტიტუციაშიც არ შევიდა ცვლილება.

– ახლა მივიღეთ რეალობა, როდესაც ერთი მხრივ გვყავს პრეზიდენტი, რომლის უფლებამოსილებაც ახალი კონსტიტუციით კიდევ უფრო შეზღუდულია და კიდევ ერთ უფლებამოსილებას იჩერებს პრეზიდენტი. ეს რას ნიშნავს? პასუხისმგებლობას გაურბის?

– ასე გამოვიდა, რომ სალომე ზურაბიშვილი გვეუბნება, რომ თუ თქვენ არ მოგწონთ, რასაც მე ვაკეთებ, მაშინ ამასაც არ გავაკეთებო. დაახლოებით ასეთი პასუხი მოვისმინე მისგან. გვეუბნება, რომ თითქოს ორი ალტერნატივა არსებობს – ან უნდა შეიწყალოს მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირები და დევნილები, რომლებიც ჯერ არ დაუკავებიათ, ან საერთოდ არავინ არ უნდა შეიწყალოს. საკითხის ასე დასმა ჩემთვის სრულიად გაუგებარი და გაურკვეველია. შეწყალებას აქვს თავისი მნიშვნელოვანი დატვირთვა.

პრეზიდენტს აქვს როლი პოლიტიკური კრიზისების დროს, აქვს როლი მართლმსაჯულების ხარვეზების გასწორების თვალსაზრისითაც. დიახ, მას ასეთი როლი გააჩნია. მას აქვს თავისი ფუნქცია და შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მისი ფუნქციები კონკრეტული გარემოებების თვალსაზრისით.

პატიმარს, რომელსაც აქვს ძალიან რთული ჯანმრთელობის მდგომარეობა და ის უნდა იყოს სახლში ოჯახთან, შესაძლოა შეიწყალოს ადამიანური ფაქტორებიდან გამომდინარე. ან შეიძლება იყოს პატიმარი და ასეთი პრეცედენტებიც ყოფილა, რომ ვთქვათ, შვილი გარდაეცვალა, პატარა ბავშვი, მას რამდენიმე კვირა ჰქონდა დარჩენილი საპატიმროში და შეიძლება გამოყენებული იყოს მისი შეწყალება, რომ ამ ტრაგიკულ პერიოდში გაუშვან სახლში და საკუთარ ოჯახთან ერთად დაიტიროს შვილი. ასეთი პრეცედენტები არსებობს, როდესაც ამის გამოყენება არა მხოლოდ მიზანშეწონილია, არამედ მორალურად და ადამიანურადაც მნიშვნელოვანია. ამის თქმა, რომ რახან თქვენ არ მოგწონთ ჩემი გადაწყვეტილება, როდესაც მე მკვლელობისთვის მსჯავრდებულები შევიწყალე, ეს გამართლებული არ არის.

– ამ თემას რომ გავყვეთ, მორატორიუმის გამოცხადება ხომ არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პატიმართა უფლებების დარღვევა პრეზიდენტის მხრიდან?

– არა, ეს უფლებების დარღვევა არ არის. იმიტომ, არავის არ აქვს უფლება იმისა, რომ შეწყალებული იყოს. ასეთი უფლება არ არსებობს, შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ამას ვერ განვიხილავთ.

– როდესაც პრეზიდენტი გველაპარაკება ამ ენით, თუნდაც იმ ნაწილს, ვინც მის მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი, ეს რამდენად შეესაბამება პრეზიდენტის ქცევის წესებს?

– სალომე ზურაბიშვილს ასეთი პრობლემები რომ აქვს საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის მიმართ, ამაში ახალს ვერაფერს ვიტყვი. იქნება ეს მედია, სამოქალაქო საზოგადოება თუ დანარჩენი საზოგადოება. ამიტომ აქ შეფასების გაკეთება ზედმეტია. სჯობს ფაქტებზე ვისაუბროთ, რასთან შეხებაც გვქონდა ბოლო პერიოდის განმავლობაში.

მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ რა შედეგიც დადგა, ეს არის არა პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების პრობლემა, არამედ თავად სალომე ზურაბიშვილის პრობლემა. ეს არის მისი პასუხისმგებლობა, რომ მან კარგად შეისწავლოს როგორც საკუთარი აპარატი, ისე საკუთარი კომპეტენცია. მან არ უნდა გამოარჩიოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ერთგულების ნიშნითა და მხარდამჭერების მიხედვით, არამედ მან უნდა მიიყვანოს ადმინისტრაციაში პროფესიონალი და კვალიფიციური ადამიანები. ეს არის მნიშვნელოვანი და ამასთანავე პრეზიდენტი უნდა კითხულობდეს იმას თუ რაიმე შეცდომა იყო დაშვებული, რათა მას არ შეეშალოს რამე გადაწყვეტილების მიღებისას. ამ შემთხვევაში ეს არის მისი შეცდომა და არა საკანონმდებლო ხარვეზი.

– ის ფაქტი, რომ მან საზოგადოებაში არსებულ კითხვებს არ უპასუხა და ასე ვთქვათ, მან სულ სხვა მხარეს გადაიტანა ისრები, ეს ფაქტი რას ნიშნავს?

– არა მგონია, რომ რაიმე ისრები სხვა მხარეს გადასულიყო. საზოგადოების ნაწილი ძალიან გაბრაზებულია და მათ აქვთ კითხვები პრეზიდენტთან. საზოგადოებამ, რა თქმა უნდა, მისგან პასუხები ვერ მიიღო აღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებით და ვერც მიიღებს, იმიტომ, რომ მაშინ პრეზიდენტმა უნდა თქვას, რომ ეს არის მისი ბრალი. პრეზიდენტს ეს არ უთქვამს, მაგრამ ამას თქმაც არ სჭირდება, ეს არის ცხადი და კონსტიტუციითაც ეს არის მისი პიროვნების ბრალი. იმიტომ, რომ მან სათანადო ყურადღება არ დაუთმო ამ საკითხს და დაუთმო იმას, რაც მან გააკეთა.

– მის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გაჩნდა მოსაზრებები მისთვის იმპიჩმენტის გამოცხადების თაობაზე. ამ საკითხს როგორ უყურებთ?

– არა. პირდაპირ გეუბნებით, რომ ეს ვერ გახდება იმპიჩმენტის გამოცხადების საფუძველი. შეწყალების კომპეტენციის გამოყენება არ უნდა იყოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველი. შესაძლოა აზრი იყოს და უნდა იყოს მისი საწინააღმდეგო, მაგრამ იმპიჩმენტის საფუძველი არ შეიძლება იყოს.

– თეა წულუკიანმა თქვა, რომ იმპიჩმენტი არასერიოზულია, მაგრამ ვინც ამ საკითხს აყენებს, მაშინ მარგველაშვილის წინააღმდეგაც უნდა დაეყენებინა, რადგან მისმა შეწყალებულმა პირმა დედა ბავშვის თვალწინ მოკლაო. ამაზე რას იტყვით?

– არა, არც იმ შემთხვევაში უნდა დამდგარიყო იმპიჩმენტის საკითხი და ახლაც არ უნდა დადგეს. ეს ისედაც ცხადია, რომ ეს არასწორი იქნებოდა არასწორი იქნება ახლაც.

– „ქართული ოცნების“ მიერ მარგველაშვილის თემის დაბრუნება რით არის გამოწვეული თქვენი შეფასებით?

– ვერ გეტყვით, ამ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

– პოლიტიკურ შეფასებებში არ შედიხართ?

– დიახ.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ
ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„ლაშა ნაცვლიშვილი ნაციონალების გაწეწვაში აქტიურად მონაწილეობდა“

ლევან ჩაჩუა: „თუ „ოცნებამ“ ასე გააგრძელა, ხალხი კაბინეტებიდან გამოყრის“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

– ხალხის უმძიმეს მდგომარეობას სოციოლოგიური გამოკითხვებიც ადასტურებს. ამავე დროს, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და ზოგიერთი ექსპერტი გადაჭრით აცხადებენ, რომ ახლანდელი მმართველი პარტია მომავალ საპარლამენტო არჩევნებში პირველ ადგილზე გავა. უფრო მეტიც, შეიძლება მთავრობა თვითონ დააკომპლექტოს.

– ეს ადამიანები მართლაც გაბადრულები აკეთებენ ისეთ განცხადებებს, რომლებიც ზღაპართან უფრო ახლოსაა, ვიდრე რეალობასთან. „ქართული ოცნება“ აცდენილია რეალობას. ეს პრივილეგირებული ფენა ცხოვრებას თავისი კაბინეტებიდან და ძვირფასი ჯიპებიდან აკვირდება. ამ ხალხს წარმოდგენა არა აქვს, რას ფიქრობს საზოგადოება, როგორ გაწბილდნენ „ოცნების“ ყოფილი მხარდამჭერები.

ხალხს ეგონა, რომ მილიარდერის ხელისუფლება არ იქნებოდა ფულზე გადაგებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანებიც ისეთივე მომხვეჭელები არიან, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებების კორუმპირებული პირები. ადამიანებს მძიმე ტვირთად აწევთ ამათი დიდი მადაც.

– გახარიას და ღარიბაშვილის მოყვანა მთავრობაში რისი მომასწავებელია?

– ხელისუფლება მოსახლეობას ეუბნება, რომ გადახალისებული მთავრობით რეფორმებს იწყებს. ეს კიდევ ერთი ტრიუკია. გახარია ნაციონალურ მოძრაობას ემუქრება, დაგასრულებთო. ესეც სასაცილოა.

– რატომ არის სასაცილო?

– გახარია წარმოადგენს იმ ხელისუფლებას, რომელიც გარიგებულია ნაციონალურ მოძრაობასთან. მათ შორის კინკლაობა ყალბია. გახარიას გადანაცვლებასთან ერთად მთავრობაში დააბრუნეს ღარიბაშვილი. გახარიას და ღარიბაშვილის დუეტს საზოგადოების ერთი ნაწილი ზარ-ზეიმით შეხვდა. ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობას შეუტევს. ეს სიბეცეა.

– არ შეუტევენ ნაციონალურ მოძრაობას?

– გარიგება ნაციონალებთან დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ირაკლი ღარიბაშვილი შს მინისტრი, შემდეგ კი – პრემიერ-მინისტრი იყო. იმის მაგივრად, რომ აღედგინათ სამართლიანობა, გამოეძიებინათ 30.000 საქმე ნაცმოძრაობის წარმომადგენლების მონაწილეობით, დაიწყო ბინძური პროცესები.

– რა პროცესები?

– ხელისუფლებამ გაწეწა ნაციონალები (ბევრი მათგანი), რომლებზეც სისხლის სამართლის საქმეები იყო აღძრული და მოიგონა კაბიტაცია. ხალხს უთხრეს, რომ კაბიტაცია დასავლეთის დირექტივაა. სინამდვილეში, თვითონ ამოიღეს ფული დამნაშავე ნაციონალებისგან და ამის გასამართლებლად მოიფიქრეს კაბიტაცია.

ნაციონალების გაწეწვაში აქტიურად მონაწილეობდა ლაშა ნაცვლიშვილი, რომელიც იმ დროს მთავარი პროკურორის მოადგილედ მუშაობდა. გაურიგდნენ კრიმინალურ ბანდებს და მერე მათთან ითანამშრომლეს. როცა ასეთი გარიგებაა, რა ნაციონალების დასრულებაზეა ლაპარაკი?

– ამ დღეებში დღის წესრიგში დადგა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის შესაძლო იმპიჩმენტის საკითხი. მსჯავრდებულების შეწყალებაში მან უმძიმესი შეცდომები დაუშვა.

– ვფიქრობ, რომ ამას კორუფციის სუნი უდის. პირდაპირ ამაში პრეზიდენტს ვერ დავადანაშაულებ. ნებისმიერ შემთხვევაში იგი პასუხისმგებელია იმაზე, რასაც ხელი მოაწერა. პრეზიდენტი არასწორად მოიქცა მაშინაც, თუ გაუაზრებლად შეიწყალა ისინი, ვისი გვარებიც მისმა ადმინისტრაციამ მიაწოდა და განსაკუთრებით მაშინ, თუ თავად არის გარეული ფულის კეთებაში.

პარადოქსია, მაგრამ სალომე ზურაბიშვილის გადაყენებას და დაპატიმრებასაც კი ითხოვენ ის პირები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების დროს მისი გულმხურვალე მომხრეები იყვნენ და მე მამუნათებდნენ. მაშინ ვამბობდი, რომ თუ დამნაშავეა ნაციონალური მოძრაობა, ასევე დამნაშავეა „ქართული ოცნება“. ხალხს იმ ვაი-არჩევნების ბოიკოტისკენ მოვუწოდებდი. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებდი, რომ ქვეყნისთვის ცუდი მინდა. ის სიყალბე და ვირეშმაკობა არჩევნები არ იყო. ვაშაძის არჩევაც და ზურაბიშვილის არჩევაც ზიანის მომტანი იქნებოდა საქართველოსთვის. ადამიანის არჩევანი ფიქსირდება ღვთის წინაშე. ყველა ადამიანი პასუხს აგებს თავის გადაწყვეტილებაზე.

– მომავალ არჩევნებს ბოიკოტს, ალბათ, არავინ გამოუცხადებს.

– ალბათ. ჩვენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ვიბრძოლებთ. სასურველია, შეიქმნას ერთი დიდი ეროვნული გაერთიანება, რომელზეც იმედს ამყარებს მოსახლეობის დაახლოებით 70%. „ქართული იდეა“ მის შემადგენლობაში იქნება. პირადად მე სიაში ადგილზე პრეტენზიას არ გამოვაცხადებ.

– არჩევნებამდე სტიქიური პროტესტიც გაჩნდება?

– დესტაბილიზაცია არ მინდა, მაგრამ უმძიმესი ზამთარი მოგველის. ხალხს გაუჭირდება კომუნალური გადასახადების გადახდა. ამის გამო გაზაფხულზე, ალბათ, იქნება აქციები სოციალური მოთხოვნებით.

„ქართულმა ოცნებამ“ თუ ასე გააგრძელა, ხალხი მას კაბინეტებიდან გამოყრის.

„სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილისთვის მძიმე ტვირთად იქცა“

რომან გოცირიძე: „მორატორიუმის გამოცხადება უაზრობაა“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრობის წევრი, პარლამენტის დეპუტატი რომან გოცირიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტის შეწყალებებზე საუბრობს.

– ბატონო რომან, საზოგადოების მღელვარების შემდეგ პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა შეწყალებაზე მორატორიუმი გამოაცხადა. რას იტყვით მის ამ გადაწყვეტილებაზე?

– მორატორიუმის გამოცხადება უაზრობაა. პრეზიდენტს კონსტიტუციური უფლება აქვს, რომ შეწყალების აქტი განახორციელოს. ეს არ არის მხოლოდ უფლება, ეს მოვალეობაცაა. შეწყალება დიდი ჰუმანური აქტია, არ შეიძლება მასზე უარი თქვა. პრეზიდენტი არ უნდა გაექცეს თავის უფლება-მოვალეობას.

ის ამბობს, რომ რაღაც პროცედურები უნდა შეიცვალოს და მერე განვაახლებო. პროცედურები კი არ უნდა შეიცვალოს, პრეზიდენტი უნდა შეიცვალოს! პროცედურები გაწერილია, არსებობს კომისია, მაგრამ კომისია არ მუშაობს.

სამი მკვლელის შეწყალება გაუგონარი ფაქტია. ერთ-ერთი პოლიციელის მკვლელია, რომელიც კრიმინალურ სამყაროსთან იყო დაკავშირებული. მეორე შეწყალებული ახალგაზრდა ადამიანის მკვლელი არის. ეს ამბავი თბილისში ძალიან გახმაურებული იყო. მესამე – წარმოუდგენელი ფაქტია, შეიწყალა ადამიანი, რომელიც ერთი დღეც არ მჯდარა ციხეში. მას არ მოუხდია სასჯელის ერთი საათიც კი. მიმალვაში მყოფი ადამიანი შეიწყალა.

აქ აშკარა კორუფციის ნიშანია. თავად მან აიღო ფული თუ მისმა გარემოცვამ, ეს უნდა დაადგინოს გამოძიებამ. რადგან არ არსებობს შეწყალების კომისია, რადგან არ არსებობს ფორმალური რაიმე ინსტიტუტი, გამოდის, საახლობლო აცნობს მას ამ სიას. ვიღაცამ ხომ უნდა უთხრას, ვინ არის, რაზე იხდის სასჯელს. ვიღაცამ ხომ უნდა უთხრას, რომ ეს ადამიანი არის კრიმინალ ლავას ოღლის მარჯვენა ხელი, რომელმაც პოლიციელი მოკლა. ან პირიქით, ამ ადამიანის შეწყალება წაადგება ჩვენს საზოგადოებას და ა.შ.

არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც არის მისი წრე. შესაძლებელია, გადაწყვეტილებებს დიასახლისები ღებულობდნენ ქალბატონ სალომეს სამზარეულოში. როგორც ჩანს, დაქალები თუ დაქალუჩკები. ამ ვითარებაში ეს არის ყველაზე იდეალური ვარიანტი, თითქოს საწყალი ქალი გავლენის ქვეშ მოექცა, მაგრამ ეს იმდენად შეუძლებელია, რომ აქ სხვა რამ იკითხება.

– კონკრეტულად რა?

– ძალიან დიდ ინტერესზეა საუბარი. ან დიდი პოლიტიკური ინტერესია, ან ფინანსური. პოლიტიკურად ძალიან დამაზიანებელი იყო, ამიტომ არ გამოვრიცხავ, ვიღაცამ ფული იშოვა. თუმცა, არც მეორე ვარიანტია გამორიცხული.

– ვანო ზარდიაშვილმა თქვა, მინდა მჯეროდეს, რომ პრეზიდენტს გაუჩალიჩესო.

– ეს ძალიან საინტერესოა. გაუჩალიჩეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას უნდა ამ პრეზიდენტის ჩამოგდება. ივანიშვილის მიერ დასმული პრეზიდენტის ჩამოგდება შეიძლება მართლაც უნდა ვიღაცას. თვითონ ივანიშვილს ხომ არ უნდა?!

– ივანიშვილს რატომ შეიძლება უნდოდეს?

– თვალნათლივ ხომ არ დაინახა ის საფრთხეები, რაც ერთ წელიწადში ღიად გამოჩნდა – მისი ნებისმიერი გამოსვლა საგარეო საკითხებზე უცხოეთში, გარეჯში ჩასვლა სამხედრო ფორმით და ა.შ. რეალურად მან უკვე იმდენად მოახდინა საკუთარი თავის კომპრომეტირება, რომ ის უკვე გახდა მძიმე ტვირთი ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნებისთვის“.

ის, რაც მოხდა, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად შეიძლება იმპიჩმენტის საფუძველი გახდეს.

– შეიძლება „ქართული ოცნება“, როგორც პრეზიდენტ მარგველაშვილისგან მოახდინა დისტანცირება, სწორედ ამას აპირებდეს სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაშიც?

– როგორც მარგველაშვილი გახდა მათთვის მოულოდნელი, არ დაყვა ივანიშვილის ნებას, მოულოდნელობა გახდა სალომე ზურაბიშვილი. მათ არ იცოდნენ, რომ ამდენად თავნება, არაკონტროლირებადი იქნებოდა. ამიტომ, „ქართული ოცნების“ მკვეთრი კრიტიკა და თეა წულუკიანის საკმაო მინიშნებებით საუბარი ნიშნავს, რომ მათ დავალება მისცა ივანიშვილმა, რომ ზურაბიშვილის კრიტიკა დაიწყონ ამ საკითხზე. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მათ სალომე ზურაბიშვილის გადაყვანა უნდათ გიორგი მარგველაშვილის რანგში.

„ქართული ოცნების“ ეს კრიტიკა გამოწვეულია იმით, რომ პირადად ივანიშვილის მომხრეებში გამოიწვია ძალიან დიდი აღშფოთება პროფესორ ოთხმეზურის შვილიშვილის მკვლელის შეწყალებამ. ბატონი გიორგი ცნობილია ივანიშვილის მხარდაჭერით. ამიტომ, სრულიად სამართლიანად არიან ივანიშვილის მხარდამჭერები აღშფოთებულები.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილს საკუთარი მომხრეების დაშოშმინება უნდა სწორედ ამ შიდა კრიტიკით. შეიძლება ამით ის ორ კურდღელს იჭერდეს. მომხრეების გულსაც იგებდეს და სალომე ზურაბიშვილსაც უქნევდეს თითს – თუ ასე გააგრძელებს, შეიძლება ჩამომარგველაშვილდეს.

მალხაზ მაჩალიკაშვილი: „გახარია ჩემთან დიდ ვალშია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვილს საერთოდ არაფერი დაუშავებია, მაგრამ ის დააკავეს.

– რას აპირებთ?

– აბა რა გითხრათ, გასული წელიწადნახევრის განმავლობაში რა არ დავაპირე და რა არ გავაკეთე. აქვს ამ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს იმის ღირსება, იმის კაცობა, იმის სინდისი და ნამუსი, რომ რამე პასუხი გამცენ?! არა აქვთ! ვნახოთ, დრო რას მოიტანს, დრო ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.

– თუ საჭირო გახდა, დადგება ხეობა თქვენ გვერდით?

– ხეობა ყოველთვის ჩემ გვერდით დგას. ისინი თბილისში არ ცხოვრობენ, მათ თბილისში არც ნათესავები ჰყავთ, არც სახლ-კარი აქვთ აქ. მათი აქ ჩამოსვლა და უკან წასვლა ყოველთვის დიდ თანხებს უკავშირდება.

გუშინდელ პროცესზე მთელი ხეობის იმამი იყო ჩამოსული, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი ხეობა აქ არის, ჩემ გვერდით დგას. თუ საჭირო გახდა, უკლებლივ ყველა ჩამოვა. თუმცა, სადღაც იმედს მაინც ვიტოვებ, რომ ეს საჭირო არ გახდება და ესენი მორის მაჩალიკაშვილს გამოუშვებენ. რაღაც პატარა სინდისი მაინც ხომ უნდა ეყოთ?! ამათმა ხომ მორისის ძმა მოკლეს?! მისი ღვიძლი ძმა! ამ მკვლელობისთვის ჯერ კაციშვილი არ დაუჭერიათ, არ დაუსჯიათ. პასუხი არავის უგია ჩემი შვილის მკვლელობისთვის.

– 20 ივნისის საქმეზე სხვაც ბევრია დაკავებული, მათაც დატოვებენ პატიმრობაში?

– დატოვებენ, აბა რას იზამენ. ესენი ყველანი პოლიტპატიმრები არიან. უბრალოდ გული მერევა ყველაფერზე. ამ ქვეყანაში არ არის სამართალი, სასამართლო. ამ ქვეყანაში ხალხში ღირსებას კლავენ. ამ ქვეყანაში ადამიანის სულებს ასახიჩრებენ!

– იმიტომ ხომ არ დატოვეს პატიმრობაში თქვენი ძმისშვილი, რომ თქვენზე მოახდინონ ზეწოლა?

– ჩემზე ზეწოლას ვერ მოახდენენ. მე უკვე ყველაფერი დავკარგე. ჩემზე ზეწოლა შეუძლებელია!

– აპირებთ, რომ ბოლომდე იბრძოლოთ?

– მე დასაკარგი აღარაფერი მაქვს. ჩემი ძმისშვილი ციხიდან მაინც გამოვა. ჩემს ძმას სამი ვაჟი ჰყავს, ღმერთმა კარგად უმყოფოს. მე ერთი მყავდა და ისიც მომიკლეს. ჩემი ძმის გვერდით ათასობით თემირლანი დადგება, ათასობით!

– გაიმართება ხეობაში საპროტესტო აქცია?

– მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ესენი ყველა გარემოებას გაითვალისწინებენ და მორის მაჩალიკაშვილს გაათავისუფლებენ. აქციას რაც შეეხება, ზუსტად დღევანდელ ხელისუფლებას უნდა, რომ ხეობაში არეულობა მოაწყონ და იქაც აქტიური და არჩეული ბიჭები გამოკეტონ ციხეში.

ამიტომ არ ვიცი, რა ვქნა, ასე თუ მოვიქცევი, ხელისუფლების წისქვილზე ვასხამ წყალს. ესენი ხომ ყველანაირ ნაძირლობას ჩადიან, ყველაფრის მკადრებლები არიან. ესენი კანონის და სამართლის ჩარჩოებიდან გამოდიან. ზუსტად ვიცი, რომ სწორედ ამას ელოდებიან, ხეობაში არეულობას, რომ დანარჩენებიც დაიჭირონ. სწორედ ეგ უნდოდათ, იფიქრეს, რომ თუ მორის მაჩალიკაშვილს არ გამოუშვებდნენ, მე ხეობაში არეულობას მოვაწყობდი, მაგრამ ეს არ მოხდება.

მე ვიბრძოლებ სამართლიანად. დაიჭერენ, არა უშავს, ერთი წელი რჩება არჩევნებამდე. ერთი წლის მერე ამათი საქმე წასულია. მე ამაში დარწმუნებული ვარ. პირადად მე ამ ხელისუფლების შესაცვლელად ყველაფერს გავაკეთებ!

– 19 სექტემბერს ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს, როგორ ფიქრობთ, არც მას არ გამოუშვებენ?

– არც ოქრუაშვილს გამოუშვებენ. ყველაფერს იზამენ, რომ ციხეში გამოკეტონ, რას არ დააბრალებენ. სხვებსაც აიძულებენ, მის წინააღმდეგ ჩვენება მისცენ.

თქვენ არ იცით, რა ბინძური პოლიტიკური თამაში მიდის აქ! ყველამ ყველაფერი კარგად იცის, თუმცა ყველას ენა აქვს ჩავარდნილი და ყველას სირაქლემას პოზიცია აქვს ამ ქვეყანაში.

ამ ქვეყანაში არც ოპოზიცია ვარგა. ოპოზიციას რომ თავის ადგილი ჰქონდეს, ესენი ასე ვერ „იბლატავებდნენ“. დღეს ამ ქვეყანაში არ არის სამართალი, დღეს არ არის სასამართლო. იმდენი ჩადენილი დანაშაული და პასუხგაუცემელი კითხვა დაუგროვდა ამ ხელისუფლებას, რომ არ ვიცი.

თუ გამოაშკარავდა თემირლანის მკვლელობის ძირეული სიმართლე, დარწმუნებულები არიან, რომ ამათ ეს ხელისუფლება თავზე დაემხობათ. აი, ამიტომ უჭირავთ კბილებით თემირლანის საქმე! ამიტომ მე საბრძოლველი ჯერ კიდევ ბევრი მაქვს.

„ნოვოკაინის შეყვანის შემდეგ შოკი დაიწყო“

19 წლის გოგონა რუსთავში ცხვირის ოპერაციის გაკეთებისას გარდაიცვალა

რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში 19 წლის გოგონა გარდაიცვალა. ახალგაზრდას ცხვირის ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ის ოპერაციის დაწყებამდე დაიღუპა.

ოჯახის წევრები მომხდარში ექიმებს ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ გულის გაჩერება ნარკოზმა გამოიწვია.

19 წლის გოგონას გარდაცვალების მიზეზი ანაფილაქსიური შოკი გახდა, რომელიც ორგანიზმში ნოვოკაინის შეყვანისთანავე განვითარდა. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორის მოადგილე დავით გოგოძემ განუცხადა.

მისივე თქმით, ოპერაციის დაწყებამდე პაციენტს მედიკამენტებზე შესაბამისი სინჯი ჩაუტარდა და შედეგები ოჯახის წევრებსაც გააცნეს.

საავადმყოფოს დირექტორის მოადგილის ინფორმაციით, გოგონას რეანიმირებას 9 საათი ცდილობდნენ, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

– სამწუხარო შემთხვევა მოხდა. გარდაიცვალა 19 წლის გოგონა გეგმურ ოპერაციაზე, ოპერაციის დაწყებამდე, ანესთეზიის შეყვანისთანავე, განვითარდა მძიმე ანაფილაქსიური შოკი. მდგომარეობიდან გოგონას გამოყვანა ვერ მოხერხდა მიუხედავად დიდი მცდელობისა. ოპერაცია დაწყებული არ იყო, წინასწარ სინჯი, რა თქმა უნდა, გაკეთდა. ოჯახის წევრებმაც იციან, რომ გაკეთდა. ნახეს თვითონაც, რომ არაფერზე რეაქცია არ ჰქონდა. სინჯის შედეგებს ვაჩვენებთ ხოლმე ყოველთვის ოჯახის წევრებს.

არ არსებობს გარანტია, რომ შოკი არ განვითარდება. ამის გარანტია რომ არსებობდეს, ეს დაავადება არ იარსებებდა საერთოდ.

მე ექიმის გადაცდომას ვერ ვხედავ. დიდხანს გაგრძელდა რეანიმაცია, შედეგიც იყო შუალედში, მაგრამ ვეღარ გაუძლო ორგანიზმმა და საბოლოოდ გული გაჩერდა.

უშუალოდ ნოვოკაინის შეყვანაზე დაეწყო შოკი. პირდაპირ ნემსის შეყვანისთანავე დაიწყო ეს ამბავი. პირველივე წვეთიდან. დაახლოებით 10 საათის განმავლობაში გაგრძელდა ეს ამბავი, – განაცხადა დავით გოგოძემ.

გოგონას ბებია ფლორა შენგელია აცხადებს, რომ მის შვილიშვილს ცხვირის ოპერაციამდე ყველანაირი გამოკვლევა ჩატარებული ჰქონდა და სრულიად ჯანმრთელი იყო.

– ყველანაირი გამოკვლევა ჩატარებული ჰქონდა. ექიმს უთქვამს, რომ ასეთი ჯანმრთელი ადამიანი ჩემთან არ შემოსულაო. მერცხალი გოგო იყო. არანაირი გულის პრობლემა არ ჰქონდა, – განაცხადა ფლორა შენგელიამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

ბებია ამბობს, რომ გარდაცვალების მიზეზი ნარკოზის დიდი ოდენობით გაკეთება იქნებოდა.

– დიდი დოზა ნარკოზის ბრალია. ოპერაცია არ იყო დაწყებული, იქამდე გარდაიცვალა, – განაცხადა ფლორა შენგელიამ.

ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებიათ. ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 116-ე მუხლითაა დაწყებული, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

ადვოკატი: „სიცრუეა, რომ ასლან ბეჟანიძე 12 წლის განმავლობაში ძებნილი იყო“

– სიცრუეა, რომ ასლან ბეჟანიძე 12 წლის განმავლობაში ძებნილი იყო, ის ძებნილი არ ყოფილა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს დავით ოთხმეზურის მკვლელობაში ბრალდებულის ასლან ბეჟანიძის ადვოკატმა ირაკლი ჩომახაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, პროკურატურამ სასამართლო პროცესზე არადამაჯერებელი და ცრუ მოწმეები წარადგინა.

– ამ საქმის მსვლელობისას უზენაეს სასამართლოში ნინო გვენეტაძე იყო, რომელზეც პროკურატურას და ხელისუფლებას ჰქონდა გავლენა. ხოლო სისხლის სამართლის საქმე ეწერა გიორგი შავლიაშვილს. აღნიშნულმა მოსამართლემ განსხვავებული აზრი დაწერა და თქვა, რომ ასლან ბეჟანიძე დამნაშავე არ არის, პაატა სილაგაძემ და ნინო გვენეტაძემ საერთოდ არ იცოდნენ ეს საქმე და არაადეკვატურ კითხვებს სვამდნენ სასამართლო პროცესზე, – განაცხადა ჩომახაშვილმა.

ადვოკატმა ბეჟანიძის შეწყალებაზე გიორგი მარგველაშვილსაც მიმართა, თუმცა არჩევნების პერიოდის დამთხვევის გამო, შეწყალება ვერ განხორციელდა.

ადვოკატის განმარტებით, ბეჟანიძე სალომე ზურაბიშვილის მიერ სასჯელის ნაწილშია შეწყალებული, რაც ნიშნავს, რომ დანაშაულისგან კი არ გამართლდა, არამედ სასჯელი მოეხსნა. მისივე თქმით, ევროპის სასამართლოს მიმართეს, რათა ხელახლა დაიწყოს დავა უდანაშაულობაზე.

ჩომახაშვილის დაცვის ქვეშ მყოფს სასჯელის სახით 6 წელი და 8 თვე ჰქონდა მისჯილი, მან 9 თვე მოიხადა პატიმრობაში.

– ბეჟანიძეს აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და ვერ ესწრებოდა სასამართლო პროცესებს, ვერც ჩვენება მისცა და ამას ექსპერტიზაც ადასტურებს, – განაცხადა ჩომახაშვილმა.

მისი დაცვის ქვეშ მყოფი დანაშაულის ჩადენის დღეს დანაშაულის განხორციელების ადგილას არ იმყოფებოდა. ადვოკატის თქმით, როცა სისხლის სამართლის ფაქტზე შეიტყო, 2 დღის შემდეგ ასლან ბეჟანიძე თავად ჩააბარა სამართალდამცავ ორგანოს.

ზურაბიშვილის მიერ შეწყალებასთან დაკავშირებით ადვოკატმა აღნიშნა, რომ დაცვის მხარე პოლიტიკურ განცხადებას არ გააკეთებს, ხოლო თუ პრეზიდენტმა რაიმე კანონი დაარღვია, ამაზე პარლამენტმა უნდა იმსჯელოს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ისტორიკოს გიორგი ოთხმეზურის შვილიშვილის, დავით ოთხმეზურის მკვლელობისთვის გასამართლებული ასლან ბეჟანიძე შეიწყალა.

„დავით სარალიძეს საპირფარეშოს ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღია

რას ყვება ადვოკატი თოდუა

ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მიხეილ კალანდიას ადვოკატის, ზურაბ თოდუას განცხადებით, მოწმის ჩვენებით დასტურდება, რომ დავით სარალიძეს ე.წ. საპირფარეშოს ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღია.

გუშინ, 18 სექტემბერს, სხდომაზე 5 მოწმე დაიკითხა, მათ შორის, 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლე.

– ხუთივე მოწმემ საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს. მიღებული ინფორმაციით, დაცვის მხარე კმაყოფილი ვართ. ერთი რამ შემიძლია გავახმოვანო, რომელიც ბუნდოვანი იყო მთელი ამ გამოძიების ეტაპზე. მაგალითად, ის, რომ დავით სარალიძე საპირფარეშოში, სადაც კონფლიქტი დაიწყო, ნამდვილად არ ყოფილა. მოწმემ დეტალურად ისაუბრა, თუ რა მოხდა საპირფარეშოში, ბუღინგი იყო თუ არა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დღეს არსებული მტკიცებულებებით, დავით სარალიძეს საპირფარეშოში დაწყებულ კონფლიქტში მონაწილეობა არ მიუღია.

ჩემ მიერ შესწავლილმა მასალებმა დამდგარ განაჩენებთან საერთოდ სხვა სურათი მიჩვენა და ძალიან მიკვირს, რატომ დადგა საერთოდ ასეთი განაჩენები საქმეზე. დანარჩენს დასკვნით ეტაპზე მოგახსენებთ, – განაცხადა თოდუამ.

მისი შუამდგომლობა, სხდომა გახსნილ რეჟიმში წარმართულიყო, სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

საქმის პროკურორი ბესიკ ქვარცხავა აცხადებს, რომ სხდომა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს, რის გამოც, საქმის დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

– დღევანდელ სხდომაზე ბრალდების მხარემ 5 მოწმე წარმოადგინა, რომლებიც მხარეთა მონაწილეობით დაიკითხნენ. მათ საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებზე ისაუბრეს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალდების შინაარსთან, – აღნიშნა ქვარცხავამ.

მიხეილ კალანდია ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცავებმა 2019 წლის 4 ივნისს დააკავეს.

მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 6 ივნისს შეეფარდა.

65 წლის მამაკაცი ხარაგაულში კრაზანის ნაკბენისგან გარდაიცვალა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადაბურში 65 წლის მამაკაცი, სავარაუდოდ, კრაზანის ნაკბენით გარდაიცვალა.

მამაკაცი ალერგიის საწინააღმდეგო ნემსის გაკეთებისთანავე გარდაიცვალა, რადგან კრაზანამ კისერში, არტერიაზე დანესტრა.

ხარაგაულის მერიაში აცხადებენ, რომ მამაკაცს გული აწუხებდა და სტენტირება ჰქონდა გაკეთებული.

ცოლისძმის დაჭრისთვის ი.მ.-ს 7 წელი მიესაჯა

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებული ი.მ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 27 დეკემბერს, ქ.ოზურგეთში დ.ნ.-ს შელაპარაკება მოუხდა მეუღლის ძმასთან, ი.მ-სთან.

აღნიშნულით განაწყენებულმა ი.მ.-მ, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, დ.ნ.-ს დანით ბეჭის, მხრის და გულმკერდის არეში დაზიანებები მიაყენა. დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად დ.ნ.-ს გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა ი.მ. იმავე დღეს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით წარედგინა, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

პროკურატურის ინფორმაციით, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ი.მ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თბილისიდან იტალიაში ჩასული საქართველოს მოქალაქე მკვლელობისთვის დააკავეს

იტალიაში საქართველოს 41 წლის მოქალაქე ტ.ბ. დააკავეს, რომელიც მკვლელობისთვის 3 წლის განმავლობაში იძებნებოდა.

მისი დაკავება მარკონის აეროპორტში მოხდა მას შემდეგ, რაც ის შესაბამის ბაზაში არსებული მონაცემებით ამოიცნეს.

მამაკაცი იტალიაში თბილისიდან 16 სექტემბერს ჩაფრინდა.

იტალიური მედიის ინფორმაციით, მასზე ძებნა 2015 წლის 10 აგვისტოდან რუსეთს აქვს გამოცხადებული და დაუსწრებლად 15 წლით პატიმრობა აქვს მისჯილი.

41 წლის მამაკაცი ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორშია, სასამართლო უახლოეს მომავალში მის რუსეთში ექსტრადირების საკითხს განიხილავს.

მორაგბე ბართლომე კალაძე ავარიაში დაიღუპა

რაგბი ტვ-ის ინფორმაციით „იუნკერების“ ახალგაზრდა მორაგბე, ბართლომე კალაძე გარდაიცვალა.

„რაგბი ტვ მწუხარებას გამოთქვამს „იუნკერების“ ახალგაზრდა მორაგბის, ბართლომე კალაძის გარდაცვალების გამო“ – ნათქვამია რაგბი ტვ-ის ფეისბუქის გვერდზე.

ნიუპოსტის ინფორმაციის თანახმად, ახალგაზრდა მორაგბე ავტოავარიას ემსხვერპლა.

ავარია თამარაშვილზე

1 ადამიანი დაშავდა

17 სექტემბერს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

დაშავებულია 1 ადამიანი, რომელიც სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია) მიმდინარეობს.

კოკა კოლას ოფისიდან 133.000 ლარი მოიპარეს

დაკავებულია კომპანიის თანამშრომელი მ.ტ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ქურდობის ბრალდებით, 1981 წელს დაბადებული მ.ტ. დააკავა.

ჩადენილი დანაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, რომელიც ამავე დროს, იყო შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ თანამშრომელი, მიმდინარე წლის 14 სექტემბერს, ს.ს. „კოკა-კოლას“ ადმინისტრაციის ოფისის სალარო ოთახში არსებული სეიფიდან 133.000 ლარი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის მართვის ქვეშ მყოფი მსუბუქი ავტომანქანის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით, მოპარული თანხა სრულად ამოიღეს.

გამოძიება დიდი ოდენობით ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნეთანიაჰუ ისრაელის არჩევნებს აგებს

ეგზიტპოლების შედეგების თანახმად, ისრაელში 17 სექტემბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ბენიამინ ნეთანიაჰუს, პარტია „ლიკუდი“ პარლამენტში 30-33 მანდატს მოიპოვებს, გენშტაბის ყოფილი ხელმძღვანელის, ბენი განცის პარტია „ლურჯი და თეთრი“ კი – 32-34 მანდატს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერც მმართველი და ვერც მისი კონკურენტი ოპოზიციური პარტია 120-წევრიან ქნესეთში უმრავლესობის ფორმირებისთვის საჭირო 61 მანდატს ვერ მოიპოვებენ და კოალიციის ფორმირებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები არჩევნების პირველადი შედეგების გამოცხადებისთანავე დაიწყება.

ეგზიტპოლებმა ასევე აჩვენა, რომ მესამე ადგილზეა „არაბთა ერთობლივი სია“, რომელიც 13 მანდატს მოიპოვებს, მეოთხეზე კი – თავდაცვის ყოფილი მინისტრის პარტია „ისრაელი ჩვენი სახლი“ – 9 მანდატით.

ებრაელი პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ შექმნილი სიტუაციიდან ორი გამოსავალია: ან ნეთანიაჰუ პრემიერად რჩება, ან ისრაელში მესამე არჩევნები ჩატარდება.

ნეთანიაჰუ კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს.

– მოდით, ოფიციალური შედეგების გამოცხადებას დავუცადოთ, – თქვა მან.

ლიბერიაში სკოლა დაიწვა

23 ბავშვი დაიღუპა

ლიბერიის დედაქალაქ მონროვიაში სკოლა-ინტერნატის შენობაში ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც სულ ცოტა 23 ბავშვი დაიღუპა.

ხანძრის დროს ბავშვებს ეძინათ.

მსხვერპლის რაოდენობა, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს, ვინაიდან პოლიცია ცხედრების ძებნას განაგრძობს.

მამაკაცი დათვისგან საცოლის დაცვას შეეწირა

სომხეთში პოლონელ ტურისტებს თავს დათვი დაესხა. შაბათს ადგილობრივ სამაშველო სამსახურში პოლონეთის მოქალაქე ქალმა დარეკა და განაცხადა, რომ დათვმა მისი თანამგზავრი, 33 წლის მამაკაცი დაჭრა, რომელთან ერთადაც არაგაცის ერთ-ერთ მწვერვალზე ასვლას ცდილობდა.

შემთხვევის ადგილზე შვეულმფრენით მაშველები და ექიმები გაფრინდნენ. სამი საათის შემდეგ მათ მამაკაცის გარდაცვალება დააფიქსირეს, ქალი კი აშტარაკის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მტაცებლის ადამიანებზე თავდასხმა ზღვის დონიდან 3,5 ათასი მეტრის სიმაღლეზე მოხდა. დათვმა კბილები ჩაავლო მამაკაცს, რომელიც მისგან თავისი საცოლის დაცვას ცდილობდა, და მასთან ერთად ფერდობზე დაგორდა, შემდეგ კი გაიქცა.

ხანშიშესული ქალი შემთხვევით გამილიონერდა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინოს შტატის ქალაქ გრინვილის მცხოვრებმა ხანდაზმულმა ქალბატონმა ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო.

ფილის მოსმა დაბადების დღისთვის ლატარიის ბილეთის ყიდვა გადაწყვიტა. მას 64 წელი შეუსრულდა.

– არადა, ჩემი მეგობარი მეუბნებოდა, რომ წელს, ჩემს დაბადების დღეზე, რაღაც ფანტასტიკური მოხდებოდა, – იხსენებს ამერიკელი ქალბატონი, – ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. ზეიმის კიდევ ერთი მიზეზი გაჩნდა.

მოსმა აღიარა, რომ ლატარიაში გამარჯვებამ ის აატირა.

– ისეთი გახარებული ვიყავი, რომ მაშინვე დავურეკე ჩემს საქმროს და ვუთხარი: „მოდი და წამომიყვანე, მანქანის ტარებას ვეღარ ვახერხებ. მანქანას ვეღარ ვატარებ. ერთიანად ვკანკალებ, – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა და იქვე აღნიშნა, რომ ამ მოგებამ მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა.

ლომებმა ინდურ ქალაქში გაისეირნეს

ინდოეთის გუჯარათის შტატის ქალაქ ჯუნაგადხაში ლომები შეიჭრნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ უზრუნველად დასეირნობს ძაღლების გაუთავებელი ყეფის ფონზე ქალაქის ქუჩებში ღამის საათებში ლომების მთელი პრაიდი, რომელიც, მინიმუმ, შვიდი მოზრდილი აზიური ლომისგან შედგება.

სატყეო მეურნეობის უწყების წარმომადგენელი სუნილ კუმარ ბერვალი ვარაუდობს, რომ ქალაქში მტაცებლები გირსკის ტყიდან მოვიდნენ, რომელიც ჯუნგადხას მახლობლად მდებარეობს.

– აქ გადის ლომების მარშრუტი, – განმარტა მან, – ისინი ღამით გამოდიან, შემდეგ კი ისევ ტყეში ბრუნდებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სნოუდენს სასამართლოში უჩივიან

აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ ეროვნული უშიშროების ასამბლეის ყოფილ თანამშრომელს ედვარდ სნოუდენს სასამართლოში უჩივლა. მიზეზი სნოუდენის მემუარების „პირადი საქმის“ გამოქვეყნება გახდა.

ამერიკის მთავრობამ მიიჩნია, რომ წიგნი ცილისმწამებლურია.

თავად სნოუდენი სასამართლოში ჩივილს მშვიდად შეხვდა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ვერავინ ვერაფერს დააკლებს.

– სასამართლოში ჩივილის შემდეგ ჩემი წიგნის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა, – თქვა მან.

თავის დროზე სნოუდენმა აშშ-ის სახელმწიფო საიდუმლოებები გაასაჯაროვა, შემდეგ კი რუსეთში გაიქცა. ის დღესაც იქ იმყოფება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საუდის პრინცესა სანტექნიკოსის მოტაცებისთვის გაასამართლეს

საფრანგეთის სასამართლომ საუდის არაბეთის პრინცესა ხასუ ბინ სალმანი ადამიანის გატაცებასა და იარაღის გამოყენებით ძალადობაში თანამონაწილედ ცნო.

განაჩენი დამნაშავის დაუსწრებლად იქნა გამოტანილი. პრინცესას 10 თვით პირობითი თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის სახით ათი ათასი ევროს გადახდა მიესაჯა. მის პირად მცველ რანი საიდის რვა თვით პირობით პატიმრობა მიესაჯა და ხუთი ათასი ევროთი დაჯარიმდა.

სასჯელის მიზეზად პარიზელ სანტექნიკოს აშრაფ იდაზე თავდასხმა იქცა. 2016 წლის სექტემბერში ის პრინცესას პარიზულ აპარტამენტებში ნიუარის შეკეთების სამუშაოებით იყო დაკავებული. იდას თქმით, სამუშაოდ მას სააბაზანო ოთახის ფოტოსურათი დასჭირდა. პრინცესამ ერთ-ერთ ფოტოსურათზე სარკეში არეკლილი საკუთარი გამოსახულება შენიშნა და ამან გააცოფა.

მან საიდის უხმო, რომელმაც სანტექნიკოსს სცემა და გაკოჭა. დაზარალებულის თქმით, ის რამდენიმე საათის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული და პრინცესასთვის ფეხებზე კოცნას აიძულებდნენ, ის კი ყვიროდა: „მოკალი ეს ძაღლი, ის სიცოცხლის ღირსი არ არის“. ამ ინციდენტიდან მალევე პრინცესამ საფრანგეთი დატოვა.

პრინცესას პირადი მცველის თქმით, მან იფიქრა, რომ სანტექნიკოსს ფოტოსურათის გაყიდვა ჰქონდა განზრახული. საუდის არაბეთის კანონმდებლობა პრინცესასთვის სურათის გადაღებას კრძალავს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● ვაქირავებ წინამძღვრიშვილზე 2-ოთახიან, იზოლირებულ ბინას, გარემონტებულს, ყველა საჭირო ნივთით. ბინას შესასვლელი აქვს სადარბაზოდან. ქუჩაში მეტალო-პლასტმასის ფანჯრებითა და აივნით. ფასი 700 ლარი. მაკლერები არ გამომეხმაურონ. ტელ: 597-46-40-60.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკო-ბიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

ჩემპიონთა ლიგა საქმეს შეუდგა

დაიწყო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი. დაიწყო 2 დიდი მატჩითა და რამდენიმე პატარა სენსაციით.

ე ჯგუფი

ნაპოლი-ლივერპული 2:0

1:0 მერტენსი (82პ), ლორენტე (90)

დღის ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრაში ნაპოლიმ ბოლოსკენ გაუტანა ლივერპულს. ჯერ კალეხონის მიერ გამომუშავებული თერთმეტმეტრიანი მერტენსმა გამოიყენა, მე-2 გოლი კი „წითლებს“ ვეტერანმა ლორენტემ კომპენსირებულ დროში გაუტანა.

ლივერპული უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში პირველი გუნდია, რომელმაც ტურნირის მოგების შემდეგ პირველივე შეხვედრა წააგო.

ზალცბურგი-გენკი 6:2

1:0, 2:0 ჰოლანდი (2, 34), 3:0 ხვან ხი ჩხანი (36), 3:1 ლუკუმი (40), 4:1 ჰოლანდი (45), 5:1 სობოლაი (45), 5:2 სამატა (52), 6:2 ულმერი (66)

ზალცბურგმა პირველივე ტაიმში მოუთავა საქმე გენკს – 5:1. მე-2 ტაიმში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგაზე სადებიუტო მატჩში ჰქონდა 19 წლის ნორვეგიელ ჰოლანდს, რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა.

ფ ჯგუფი

დორტმუნდი-ბარსელონა 0:0

57-ე წუთზე როისი ვერ გამოიყენა პენალტი

კიდევ ერთი დღის დიდი მატჩი არცთუ საამო საცქერი გამოდგა და გუნდები ერთმანეთს გატანილი გოლების გარეშე დაშორდნენ.

გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი 57-ე წუთზე დორტმუნდს მიეცა, როდესაც საჯარიმოში სემედომ სანჩო წააქცია, როისის დარტყმული პენალტი კი ტერ შტეგენმა მოიგერია. აღსანიშნავია, რომ გერმანელმა მეკარემ ჩემპიონთა ლიგაზე მის კარში დარტყმული მეექვსე პენალტიდან მე-4 მოიგერია და ამ მაჩვენებლით შახტარელ პიატოვს გაუთანაბრდა.

მე-60 წუთზე 16 წლის ფატის ნაცვლად შეცვლაზე მესი შევიდა, რომელმაც ამ სეზონში პირველი შეხვედრა ჩაატარა.

ინტერი-სლავია 1:1

0:1 ოლაიანკა (63), 1:1 ბარელა (90)

სლავია ჯგუფის უიმედო აუტსაიდერად იყო შერაცხული, თუმცა მილანიდან 3 ქულით დაბრუნებაც შეეძლო.

პრაღელები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, მეტოქეს გარკვეულ კომპონენტებში სჯობდნენ კიდეც და ლოგიკური იყო ოლაიანკასას გოლიც. შემდეგ ინტერმა მოუმატა და ჩეხური კლუბის დაცვამ ვერ გაძლო – მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ბარელამ გაათანაბრა.

სლავიასთან დაკარგული ქულები ინტერს, შესაძლოა, ძვირიც დაუჯდეს.

ჯ ჯგუფი

ლიონი-ზენიტი 1:1

0:1 აზმუნი (41), 1:1 დეპაი (51პ)

ლიონმა ჩემპიონთა ლიგაზე ზედიზედ მეექვსე საშინაო მატჩი დაასრულა ფრედ, რაც ამ ტურნირზე არასოდეს არ მომხდარა.

ფრანგებმა პირველი ტაიმი სუფთა წააგეს, როდესაც ძიუბამ და აზმუნმა საჯარიმოში ბურთი შესანიშნავად გაათამაშეს და ზენიტი დაწინაურდა.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე ლიონმა პენალტით კი გაათანაბრა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო და მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა.

გენფიკა-ლაიფციგი 1:2

0:1, 0:2 ვერნერი (69, 79), 1:2 სეფეროვიჩი (84)

ამ მოგებით ლაიფციგი ფავორიტად იქცა. თითქმის თანაბარი დონის გუნდებით დაკომპლექტებულ ჯგუფში უშუალო კონკურენტთან სტუმრად გამარჯვება და პლუს მეტოქეების ერთმანეთში ნათამაშები ფრე ლაიფციგელთა წისქვილზე ასხამს წყალს.

ტიმო ვერნერმა 10 წუთში 2 გოლი გაუტანა ბენფიკას. სეფეროვიჩის გვიანი გოლი კი პორტუგალიელთათვის შვებად ვერ იქცა.

ჰ ჯგუფი

აიაქსი-ლილი 3:0

1:0 პრომესი (18), 2:0 ალვარესი (50), 3:0 ტალიაფიკო (62)

შარშანდელი სეზონის აღმოჩენა აიაქსი კვლავაც აგრძელებს საკუთარი გულშემატკივრების გახარებას. თუმცა, რატომ მარტო საკუთარი – ფეხბურთის გულშემატკივრებში ახლა დიდი პოპულარობით სარგებლობს და ეს ძირითადად მისი სათამაშო სტილიდან გამომდინარეობს.

ამსტერდამელებმა კვლავაც ლამაზად მოუგეს მეტოქეს. ერთია, ეს შედარებით მოკრძალებულ ლილთან მოხდა – გასული წლის შემდეგ აიაქსმა ბევრი ფეხბურთელი გაუშვა და რა იქნება გაცილებით მაღალი კლასის გუნდებთან, ეს მოგვიანებით გამოჩნდება.

ჩელსი-ვალენსია 0:1

0:1 როდრიგო (74)

87-ე წუთზე ბარკლიმ ვერ გაიტანა პენალტი.

ჩელსის ლეგენდა ფრენ ლამპარდი ლონდონური კლუბის პირველი მწვრთნელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე სადებიუტო შეხვედრა წააგო და ამით ისტორიაში ცუდი ფაქტით შევიდა.

გამარჯვების გოლი ვალენსიელმა როდრიგომ გაიტანა. როს ბარკლის შეეძლო „არისტოკრატებისთვის“ ქულა მაინც მოეპოვებინა, მაგრამ თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

ტურისტებმა ბოთლი გზავნილი იპოვეს და სამი ადამიანი გადაარჩინეს



ამერიკის კალიფორნიის შტატის მდინარე არროიო სეკოს ჩანჩქერზე ოჯახი გაიჭედა, ხოლო მათი გადარჩენა წყალში გადაგდებული ბოთლის გზავნილის წყალობით მოხერხდა.

44 წლის კერტის უიტსონმა გადაწყვიტა, შეყვარებულ კრისტალ რამირეზთან და 13 წლის შვილ ჰანტერთან ერთად მდინარეზე ნავით დაშვებულიყო. შვიდი წლის წინ მას უკვე გავლილი ჰქონდა ეს გზა და ადგილს კარგად იცნობდა. როდესაც მოგზაურობის მესამე დღეს ექსტრემალები მარშრუტის ყველაზე სახიფათო მონაკვეთს, 12 მეტრის სიმაღლის ჩანჩქერს, მიუახლოვდნენ, მამაკაცმა აღმოაჩინა, რომ თოკი, რომლითაც ქვევით უნდა დაშვებულიყვნენ, დაიკარგა.

უიტსონის თქმით, ეს ერთადერთი უსაფრთხო გზა იყო. ამგვარად მოგზაურები უკაცრიელ ადგილზე ყოველგვარი კავშირგაბმულობის საშუალების გარეშე აღმოჩნდნენ. მამაკაცმა დანით ჯოხზე ამოკაწრა „გვიშველეთ“ და წყალში გადააგდო, მაგრამ ის მეტისმეტად მსუბუქი აღმოჩნდა და მდინარის დინებას არ მიჰყვებოდა.

მაშინ მამაკაცმა პლასტიკატის სამგზავრო ბოთლზე რამდენიმე მხრიდან სიტყვა „დაგვეხმარეთ“ ამოკაწრა, შიგნით მოათავსა წერილი, რომელშიც თავიანთი კოორდინატები იყო მითითებული და ბოთლი ჩანჩქერში გადააგდო. ამჯერად მისმა გეგმამ იმოქმედა და გზავნილი დინებამ წაიღო.

ამის შემდეგ უიტსონმა და კრისტალმა სწორი ადგილი მოძებნეს, ქვებით წარწერა SOS გამოიყვანეს (უბედურების საერთაშორისო სიგნალი), საძილე ტომრებში მოთავსდნენ და დაიძინეს. შუაღამისას ისინი მაშველების ხმამაღლა მოლაპარაკემ გააღვიძა: „ეს მაშველების ჯგუფია, ჩვენ თქვენ გიპოვეთ. ადგილზე დარჩით, დილით მოვალთ და გამოგიყვანთ“.

მალე მოგზაურებმა შეიტყვეს, რომ მათი ბოთლი ორმა ტურისტმა იპოვა. წერილი წაიკითხეს, ადგილობრივ ხელისუფლებას დაუკავშირდნენ და სამაშველო-სამძებრო ოპერაცია დაიწყო. მიუხედავად გვიანი დროისა, პატრული შვეულმფრენით ადამიანების მოსაძებნად მაინც გაემართა. ისინი სითბური გამოსხივების კამერისა და ღამის ხედვის სათვალეების წყალობით აღმოაჩინეს.

შვეულმფრენის პილოტ ჯო კინგმანის თქმით, 23 წლის სამსახურის განმავლობაში პირველად ნახა, რომ ბოთლში მოთავსებულმა გზავნილმა ადამიანები დაღუპვას გადაარჩინა.

ქაჯაიამ ბრინჯაო და ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა

ყაზახეთის ქალაქ ნურსულთანში მიმდინარე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იაკობ ქაჯაიამ (130კგ) ბრინჯაოს მედალი და ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა.

ჩვენებურმა ჯერ ნორვეგიელი ოსკარ მარვიკი დაამარცხა – 5:1, შემდეგ რუმინელ ალინ ალექსის ჩიურარიუს 9:0 მოუგო, ხოლო მეოთხედფინალი თურქ რიზა ქაიასთან 1:5 დათმო.

რადგან ქაიათი ფინალში გავიდა, ქაჯაია დამამშვიდებელ წრეში გადაერთო, სადაც 2:1 მოუგო ჩილელ აკოსტა ფერნანდესს, ხოლო მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში გერმანელ ედუარდ პოპს 5:0 სძლია.

ქაჯაიამ საქართველოს ნაკრებს ამ სახეობაში მე-2 ოლიმპიური ლიცენზია მოუპოვა. პირველი ეს გიორგი მელიამ გააკეთა.

შედეგად, საქართველოს ნაკრებმა ოლიმპიურ წონებში 6 შესაძლებლობიდან 2 შანსი გამოიყენა. შეგახსენებთ, რომ 60, 67, 77, 87, 97, 130 კგ წონებში ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურები თამაშდებოდა. ოლიმპიური ლიცენზიის მისაღებად აუცილებელი იყო თითოეულ წონაში ექვს საუკეთესოს შორის მოხვედრა.

ჩვენს მოჭიდავეებს წინ კიდევ 2 სალიცენზიო ტურნირი ელოდებათ და, იმედია, დარჩენილ წონებში ოლიმპიური საგზურის მოპოვებას შეძლებენ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნუგზარ წურწუმია (55 კგ) და ლაშა გობაძე (82 კგ) ოქროს მედლებს დაეუფლნენ.

საერთო ჩათვლაში 2 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედლით გუნდური მესამე ადგილი ავიღეთ. ამ შედეგით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს ნაკრების შარშანდელი გამოსვლა – 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს მონაგარმა 2 ბრინჯაოს მედალი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში საქართველოდან ბოლოს მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ დავით ბედინაძე (60 კგ) და რამაზ ნოზაძე (96 კგ), ეს კი 12 წლის წინ – 2007 წელს ბაქოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა.

დღეიდან ასპარეზობაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაერთვებიან. საქართველო აქაც ათივე (57, 61, 65, 70, 74, 79, 86, 92, 97, 125 კგ) წონაში იქნება წარმოდგენილი, აქედან ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები ექვსში (57, 65, 74, 86, 97, 125) თამაშდება.

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

შედეგები

17 სექტემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ლიონი-ზენიტი	1:1
ინტერი-სლავია	1:1
აიაქსი-ლილი	3:0
დორტმუნდი-ბარსელონა	0:0
ნაპოლი-ლივერპული	2:0
ბენფიკა-ლაიფციგი	1:2
ჩელსი-ვალენსია	0:1
ზალცბურგი-გენკი	6:2

გაძარცვის შიშით ქალმა ძილში ნიშნობის ბეჭედი გადაყლაპა

ამერიკის კალიფორნიის შტატის მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა გაძარცვის შიშით ბრილიანტისთვლიანი ნიშნობის ბეჭედი გადაყლაპა.

29 წლის ჯენე ევანსს საშინელება დაესიზმრა, რომელშიც ბოროტმოქმედებს მისი გაძარცვა სურდათ, როდესაც ის და მისი მეგობარი მამაკაცი ჩქაროსნული მატარებლით მგზავრობდნენ. საქმრომ, სახელად ბობიმ, გოგონას ბეჭდის დამალვა პირში ურჩია, გოგონამ ეს ძილბურანში მყოფმა გააკეთა და შემთხვევით ბეჭედი გადაეყლაპა.

როდესაც მას გაეღვიძა, აღმოაჩინა, რომ ბეჭედი მართლაც აღარ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში ძარცვა მხოლოდ სიზმარი აღმოჩნდა. ევანსის თქმით, ის საქმროსა და დედასთან ერთად საათნახევარი იცინოდა მომხდარზე, სანამ დახმარებისთვის საავადმყოფოში მისვლას გადაწყვეტდა.

– ექიმმა რენტგენის სურათი გადამიღო და ძალზე გაკვირვებული დავრჩი, როდესაც მეორე ექიმთან ერთად დაბრუნებულმა მაჩვენა, რომ ბეჭედი მართლაც ჩემ მუცელში იყო, – განაცხადა ქალმა.

ევანსის თქმით, ექიმებს ენდოსკოპიის გაკეთება დასჭირდათ მისი ორგანიზმიდან ბეჭდის ამოსაღებად, რომელიც იმ დროისთვის უკვე ნაწლავებში იყო გასული და ძლიერ ტკივილს აყენებდა. ექიმებმა გოგონას ურჩიეს, რომ ძილის სპეციალისტს მიმართოს, რათა მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფოლადის ბაგირი გემზე; 2. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დალუქული ჩანთა; 3. ზმნის წარსული დრო; 5. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 6. კომპანია „სონი“-ს დამფუძნებელი; 8. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 13. მუნჯი კინოს კომიკოსი; 14. ირლანდიის დედაქალაქი; 15. მთიანეთი აზიაში; 19. სამკითხაო ბანქო.

თარაზულად: 1. შაქრითა და სუნელებით შეზავებული ცხელი, წითელი ღვინისაგან მომზადებული სასმელი; 4. ჩინეთში წარმოშობილი, ქაღალდისგან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 7. ჰოლანდიური ლუდი; 9. ზომიერება, მომჭირნეობა ხარჯვაში; 10. პატარა, ხის სახლი ჩინეთში; 12. შემოსავლიანი თანამდებობა, იოლი სამუშაო; 16. მდგომარეობა ჭიდაობაში; 17. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 18. სხვისი კეთილდღეობისათვის უანგაროდ მზრუნველი ადამიანი; 20. დაბალი რანგის დიპლომატი; 21. თვალ-მარგალიტით შემკული თავსამკაული; 22. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩხვიმიანი; 2. ჭიანური; 3. კენედი; 4. არათი; 5. უჯარმა; 11. ბიბლია; 12. შატილი; 14. კილი; 16. სორენტო; 17. ბრიდემო; 19. მორავია; 21. იტამი.

თარაზულად: 6. ახალციხე; 7. თურინჯი; 8. თეთრა; 9. ამლახუ; 10. დერბი; 13. შნეკი; 15. ესკალატორი; 18. ხაშლამა; 20. რალი; 21. ბორნეო; 23. ნოქალაქევი; 24. მეტეხი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დროება; 2. ვლტავა; 3. კურსი; 5. კოლი; 6. ჩაფარი; 8. სტილბი; 11. ხაბიზგინა; 13. თურნავა; 14. კათედრა; 15. თაიგული; 19. თუნი.

თარაზულად: 1. დუბროვნიკი; 4. ოჩოკოჩი; 7. ოცელოტი; 9. სანტოსი; 10. ფხოვი; 12. ზელინსკი; 16. ჩიხირთმა; 17. კრუზადო; 18. ხევსურეთი; 20. ნუსხური; 21. ჯარა; 22. ფართინგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9691

ევრო — 3.2797

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6989

100 რუსული რუბლი — 4.6163

ამინდის პროგნოზი 19 სექტემბერი

17 სექტემბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

დუტა სხირტლაძე 200 ლარით დაჯარიმეს

მსახიობი და ტელეწამყვანი დუტა სხირტლაძე 200 ლარით დაჯარიმეს. ამის მიზეზი მისი სკუტერის სანომრე ნიშნის გარეშე მოძრაობა გახდა:

– როდემდე უნდა დამერღვია?! და აჰაა....სანომრე ნიშნის გარეშე მოძრაობას დღეს ეს ამბავი მოჰყვა. სკუტერი – საჯარიმოზე, მე – 200 ლარი. დანარჩენებო – დაიწყეს.

საქართველოს სახალხო არტისტი ანზორ ხერხაძე გარდაიცვალა

საქართველოს სახალხო არტისტი ანზორ ხერხაძე გარდაიცვალა. იგი მესხიშვილის თეატრის მსახიობი იყო.

სამწუხარო ინფორმაცია მესხიშვილის თეატრმა გაავრცელა:

– მოგვენატრებით!

თანაც ძალიან, ანზორ ბატონო!

დღეიდან მესხიშვილის თეატრის ეზოში ვეღარ გიპოვით!

ვერც საგრიმიოროში, სალონში, სცენაზე!

ვერ მოგიკითხავთ და თქვენეული ბარიტონით ვერ გვიპასუხებთ!

ტიტულები?

ისინი უამრავი გქონდათ – მსახიობიდან დაწყებული, ხელოვნების ქურუმით დამთავრებული...

თუმცა, ყველა ტიტულს, მესხიშვილის თეატრის ერთგულება და სიყვარული გერჩივნათ!

ანზორ ხერხაძეს 19 სექტემბერს მესხიშვილის თეატრიდან გამოასვენებენ და პანთეონში მწვანეყვავილას სასაფლაოზე დაკრძალავენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

19 სექტემბრისთვის

ვერძი – მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. ნუ ელით დახმარებას გარეშე პირებისგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – იღბლიანი დღეა. შრომის ნაყოფიერება საკმაოდ იზრდება. საქმე გულდასმით და აუჩქარებლად აკეთეთ. **ტყუპები** – ჰარმონიული დღეა. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. შანსი გეძლევათ, კონტაქტი დაამყაროთ საჭირო ადამიანებთან. **კირჩხიბი** – დღეს მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. ერიდეთ ფულის უაზრო ხარჯვას. მოსალოდნელია მცირე გაუგებრობა გარშემომყოფებთან. **ლომი** – ნუ იაქტიურებთ. აუჩქარებლად და თავდაჯერებულად იმოქმედეთ. ეს განსაკუთრებით პროფესიონალურ სფეროს ეხება. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები გაგახარებთ და ოპტიმიზმს შეგმატებთ. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სიარული ან ბაღში მუშაობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **ღრიანკალი** – საოჯახო პრობლემები გიგროვდებათ. ეს დღე თქვენგან სიმამაცეს მოითხოვს. **მშვილდოსანი** – ნურავის მისცემთ ნებას, თავისი გავლენის ქვეშ მოგაქციოთ. სიტუაცია შესაძლოა თქვენ სასარგებლოდ შეიცვალოს. **თხის რქა** – სამოგზაურო წასვლას თუ გადაწყვეტთ, კმაყოფილი დარჩებით. ახალი შთაბეჭდილებები დადებითად წაგადგებათ. **მერწყული** – ერიდეთ კონფლიქტურ და ნერვულ ადამიანებთან საქმის გარჩევებს. შესაძლოა კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **თევზები** – საკმაოდ რთული დღეა. მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოგიწევთ, თუმცა ბედი გწყალობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

გოგონა ბიჭს ეკითხება:

– შენი აზრით, ჩემი შეყვარება შეიძლება?

– ვფიქრობ... კი.

– მერე, რაღას ელოდები???

●●●

ბაღში კაცი სკამზე დამწუხრებული სახით ზის. მასთან მეორე მივიდა და ეკითხება:

– რა მოხდა მეგობარო, რატომ გაქვს ასეთი სახე?

– გვერდით დამიჯექი და გეტყვი.

კაცი დაჯდა.

– საქმე ისაა, რომ ეს სკამი ახალი შეღებილია...

●●●

ერთი ქალი მეორეს შესჩივის:

– როგორც კი სარეცხს გავფენ, მაშინვე წვიმა უნდა დაიწყოს!

– მე კი ამინდის ჩემი განსაზღვრა მაქვს და არასოდეს ვტყუვდები.

– ეგ როგორ?

– დილით საბანს ვწევ და ქმრის ღირსებას ვუყურებ, თუ მარჯვნივაა – იწვიმებს, თუ მარცხნივ – დარი იქნება.

– და თუ დგას?

– მაშინ რა დროს სარეცხია?!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ერთდროულად ორ მამაკაცს ვხვდები და არ ვიცი, რომელი შევარჩიო...

– და გული რას გეუბნება?

– რა და, შეეშვი, თორემ ქმარმა თუ გაიგო, მოგკლავს!

●●●

ქალიშვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, ფეხშიშველი სიარული გიყვარს?

– ჰო, შვილო.

– მაშინ სასეირნოდ შენი ფეხსაცმლით წავალ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანტუან გრიზმანი: „შეტევაში უკეთ უნდა ვითამაშოთ“

ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგის პირველ შეხვედრაში სტუმრად ბორუსიასთან ფრე 0:0 ითამაშა და შეიძლება ითქვას, რომ გერმანელებს არ გაუმართლათ.

ბორუსიამ რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა და პენალტიც გააფუჭა. მატჩის შემდეგ ანტუან გრიზმანმა განაცხადა, რომ ფრე ცუდი შედეგი არ არის, მაგრამ ბარსელონამ უნდა მოუმატოს: – ფრე ბორუსიასთან კარგი შედეგია, რადგან ეს გუნდი საკუთარ მოედანზე ძალიან ძლიერია, მაგრამ შეტევაში უკეთესი თამაში გვმართებს და ამ ასპექტში უნდა მოვუმატოთ. წინ ბევრი მატჩია და დარწმუნებული ვარ, ამას გავაკეთებთ.

იურგენ კლოპი: „პენალტი არ იყო“

ლივერპულმა ჩემპიონთა ლიგის სტარტზე ნაპოლისთან მარცხი განიცადა.

შეხვედრაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი ლივერპულის კარში დანიშნული პენალტი იყო, რომელიც ნაპოლიმ გამოიყენა.

კლოპის აზრით, იმ ეპიზოდში პენალტი არ იყო და მსაჯმა შეცდომა დაუშვა:

– შეხვედრას ვაკონტროლებდით, თუმცა ბევრი მომენტი ვერ შევქმენით და მეტოქემ ამის გამო დაგვსაჯა. ვფიქრობ, მსაჯმა შეცდომა დაუშვა და მას პენალტი არ უნდა დაენიშნა, მაგრამ ახლა უკვე ვერაფერს შეცვლი.

ნაპოლიმ ლივერპული საკუთარ მოედანზე 2:0 დაამარცხა.

ლამპარდმა ჩელსის მარცხზე ისაუბრა

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ფრენკ ლამპარდმა ვალენსიასთან განცდილ მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ცოტა მომენტი შექმნა, რაც გახდა კიდეც მარცხის მიზეზი. ლამპარდის აზრით, შეტევაში მეტი მრავალფეროვნებაა საჭირო.

ფრენკი ასევე როზ ბარკლის მიერ გაცუდებულ პენალტს შეეხო და თქვა, რომ ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერ ფეხბურთელს მოუვიდეს:

– ბარკლისთვის საყვედური არ მითქვამს, რადგან პენალტი ყველამ შეიძლება გააფუჭოს. ჩვენი მთავარი პრობლემა ამ შეხვედრაში იყო ის, რომ ცოტა მომენტი შევქმენით. ამ საკითხზე უნდა ვიმუშაოთ.

რეინჯერსის ყოფილი კაპიტანი ფერნანდო რიქსენი გარდაიცვალა

რეინჯერსის ყოფილი კაპიტანი, ჰოლანდიელი ფეხბურთელი ფერნანდო რიქსენი 43 წლის ასაკში გარდაიცვალა.

2013 წელს რიქსენს განუკურნებელი დაავადება დაუდგინეს და მისი გარდაცვალება მოულოდნელი არ ყოფილა.

რიქსენი რეინჯერსში 2000-06 წლებში თამაშობდა და ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. რეინჯერსის შემდეგ მან კარიერა ზენიტში გააგრძელა, სადაც 2008 წელს ევროპის ლიგაც მოიგო.

რიქსენს, სავარაუდოდ, მშობლიურ ქალაქ ჰიირლენში დაკრძალავენ.

ქეთევან კიკნაძე ჟურნალისტებს აკრიტიკებს

მსახიობი ქეთევან კიკნაძე ჟურნალისტებს აკრიტიკებს და ახალი ამბების უარყოფითი ამბებით დაწყებას უწუნებს:

– ჟურნალისტებო! თქვენ ახლოს ხართ სკოლის დამთავრებასთან, ამიტომ უნდა გახსოვდეთ, რომ ქართულში არსებობს წერტილი, მძიმე, ძახილის ნიშანი და კითხვის ნიშანი, რომელიც უსათუოდ უნდა დაიცვათ, თქვენ კი სულ ძახილის ნიშნებით ხართ!

მერე, არ შეიძლება, რომ დაიწყოთ ქრონიკა ისე, რომ არ შევიტყოთ, გაწყდნენ, მოკვდნენ, გააუპატიურეს, გაიტაცეს და ა.შ. აღარ შეიძლება ასეთი მიმართვა ხალხისადმი, დაგვბომბეთ ბარემ და მოისვენეთ. გამუდმებულ შოკშია მოსახლეობა, ზოგი თქვენთვის შეინახეთ. დაინდეთ ადამიანები.

მე, მაგალითად, უკვე აღარ ვუსმენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ედენ აზარი: „რეალში თამაშზე ყოველთვის ოცნებობდი“

მადრიდის რეალის ბელგიელმა ვარსკვლავმა ედენ აზარმა განაცხადა, რომ ის ყოველთვის ოცნებობდა რეალში თამაშზე, თუმცა ჩელსიშიც ბედნიერი იყო.

აზარი ბედნიერია, რომ თავისი ოცნების გუნდში მოხვდა:

– ჩელსიში ძალიან ბედნიერი ვიყავი და ამ გუნდში გატარებულ არც ერთ წუთს არ ვნანობ, მაგრამ ვაღიარებ, რომ რეალი ყოველთვის ჩემი ოცნების გუნდი იყო. ძალიან მიხარია, რომ ამ გუნდის ღირსებას ვიცავ და შევეცდები, ეს მოედანზე დავამტკიცო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოხვოხდი ১



შვეულად: 1. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი; 2. დიდად განსწავლული, მრავალმხრივი ცოდნის მქონე ადამიანი; 3. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 4. აეროპორტი სინგაპურში; 5. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ეთიოპიელი მარათონელი; 12. ინფექციური დაავადების გამავრცელებელი ჩხირისებრი ბაქტერია; 14. წარწერა საბანკო ჩეკზე, სხვა პირისთვის მისი გადაცემის შესახებ; 16. ქირურგიული დანა; 17. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. რაიმეს დამზადების წესი; 21. პოპულარული ამერიკული თოჯინა; 22. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდის სერია.

თარაზულად: 6. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 7. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 8. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. აშშ-ს პრეზიდენტი; 10. სპორტის სათამაშო სახეობა; 13. მუშაობის ხანგრძლივობა რაიმე დარგში; 15. საერთო სახალხო რეფერენდუმი; 18. ძველებური ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა; 20. მონღოლთა მომთაბარე ლაშქარი; 21. ფრანგული პური; 23. ქველმოქმედი, კაცთმოყვარე ადამიანი; 24. პატარა კაფე გერმანიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა